ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

ირაკლი ბედელაძე

ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია 2014 წლის შემდეგ, როგორც ინდოეთის ოკეანეში ჩინეთის გავლენის ზრდის შეკავების საშუალება

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2025

აბსტრაქტი

ნარენდრა მოდის ინდოეთის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ (2014წ.), ინდოეთის საგარეო პოლიტიკა, გარკვეულწილად, შეიცვალა. მოცემული ნაშრომი იკვლევს ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციას სწორედ მოცემული პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული პროცესი განხილულია, როგორც სტრატეგიული პასუხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდ გავლენაზე ინდოეთის ოკეანის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი და ჩინეთი, დიპლომატიურ დონეზე, სტაბილურად თანამშრომლობენ მრავალმხრივ ფორუმებზე (მაგ. BRICS), ჩინეთის მზარდმა ინვესტიციებმა საპორტო ინფრასტრუქტურაში, გაზრდილმა საზღვაო გავლენამ და სარტყლისა და გზის ინიციატივამ ნიუ დელიში რეგიონული ძალთა ბალანსის ცვლილებებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოიწვია. კვლევის მთავარი მიზანია დაადგინოს, თუ რატომ ავითარებს ინდოეთი სამხედრო ინფრასტრუქტურას და შესაძლებლობებს ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე, კონტინენტური ინდოეთიდან შორს მდებარე ტერიტორიაზე, მიმდინარე დიპლომატიური ურთიერთობების გათვალისწინებით. საყურადღებოა ინდოეთის საზღვაო დოქტრინის საკითხიც, რომელიც ინდოეთის ოკეანის რეგიონში მშვიდობასა და თანამშრომლობაზეა ორიენტირებული. თავდაცვითი რეალიზმის საფუძველზე, ეს კვლევა ამტკიცებს, რომ ინდოეთის ქმედებები რეგიონული უსაფრთხოების გარემოში არსებულ სტრუქტურულ ზეწოლებზე ძალთა ბალანსის კლასიკურ პასუხს ასახავს. ინდოეთის საზღვაო სტრატეგიის ანალიზის მეშვეობით, ეს ნაშრომი ხელს უწყობს იმის გაგებას, თუ როგორ იყენებენ სახელმწიფოები გეოგრაფიულად სტრატეგიულ ტერიტორიებს გეოპოლიტიკური გამოწვევების შესაკავებლად. მიღებული შედეგები ხაზს უსვამს თავდაცვითი რეალიზმის აქტუალობას ინდოეთის სტრატეგიული ქცევის ახსნაში რთულ და ურთიერთდაკავშირებულ საზღვაო სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: ინდოეთი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთის ოკეანის რეგიონი, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები, მილიტარიზაცია.

Abstract

This thesis examines India's recent militarization of the Andaman and Nicobar Islands (ANI) as a strategic response to the People's Republic of China's expanding influence in the Indian Ocean Region (IOR). Although India and China engage diplomatically in multilateral forums such as BRICS, growing Chinese investments in port infrastructure, increased naval deployments and the broader Belt and Road Initiative have raised concerns in New Delhi about shifts in the regional balance of power. The puzzle driving this research is why India, despite ongoing diplomatic engagement and a maritime doctrine centered on peace and cooperation, is accelerating military developments in the ANI archipelago — an area far from the Indian mainland. Drawing on defensive realism, this study argues that India's actions reflect a classic balance of power response to structural pressures in the regional security environment. Through analysis of India's maritime strategy, China's evolving posture in the IOR, and recent military developments in the ANI, the thesis contributes to understanding how states use geographically strategic territories to detter geopolitical challenges. The findings underscore the relevance of defensive realism in explaining India's strategic behavior in a complex and interconnected maritime domain.

Key words: India, People's Republic of China, Indian Ocean Region, Andaman and Nicobar Islands, Militarization.

აბრევიატურებისა და აკრონიმების ჩამონათვალი:

BRICS - აკრონიმი, უკავშირდება ეკონომიკური ორგანიზაციის დამფუძნებელ 5 სახელმწიფოს (ბრაზილია, რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სამხრეთ აფრიკა). 2025 წლისთვის, ათ წევრ-სახელმწიფოს მოიცავს.

QUAD - ოთხმხრივი უსაფრხოების დიალოგი, არაფორმალური სტრატეგიული, დიპლომატიური დიალოგის ფორუმი, რომელის ოთხ სახელმწიფოს აერთიანებს: ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, იაპონია და ინდოეთი

სარჩევი

შესავალი 4

საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა და ცვლადები 9

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 10

თეორიული ჩარჩო - თავდაცვითი რეალიზმი 12

ტერმინების განმარტება 18

1 ლიტერატურის მიმოხილვა 21

2 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესები ინდოეთის ოკეანეში და ე.წ „მარგალიტთა სიმის“ სტრატეგია 32

2.1 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკა ინდოეთის ოკეანის მიმართ - ისტორიული მიმოხილვა 32

2.2 ორმაგი გამოყენების პორტები ინდოეთის ოკეანის რეგიონში - შესაძლებლობა ჩინეთისთვის 36

3 ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია 42

3.1 კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა და 2014 წლამდე არსებული მდგომარეობა 42

3.2 ნარენდრა მოდის დოქტრინა და ინდოეთის საზღვაო სტრატეგია 44

3.3 ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე სამხედრო-ინფრასტრუქტურული სისტემის განვითარება 49

3.4 რეგიონული კავშირების გაღრმავება ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საშუალებით 54

4 ინდოეთისა და ჩინეთის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები და BRICS-ის კონტექსტი . 57

5 თეორიული ანალიზი - თავდაცვითი რეალიზმი 61

6 დასკვნა 64

გამოყენებული ლიტერატურა: 65

შესავალი

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები ინდოეთის რესპუბლიკაში საკავშირო ტერიტორიის სტატუსით შემავალი ერთეულებია. აღმოსავლეთ ინდოეთში მდებარე კუნძულების (ჯამში 836) საერთო ფართობი 8,249 კმ^2-ს შეადგენს, რომელთაგან მხოლოდ 38 არის მუდმივად დასახლებული. 2011 წლის აღწერის მონაცემებით, აქ 380,581 ადამიანი ცხოვრობს. საკავშირო ტერიტორიის ცენტრს წარმოადგენს ქ. პორტ-ბლერი (ოფიციალურად, შრი ვიჯაია პურამი), სადაც განთავსებულია ლეიტენანტ-გუბერნატორის ადმინისტრაცია. ეს უკანასკნელი ცენტრალურ ხელისუფლებასთან პირდაპირაა დაკავშირებული (Islands, 2025).

კუნძულების მილიტარიზაციის საკითხის გაანალიზებამდე, სასურველია, განვიხილოთ ისტორიული კონტექსტი. ბენგალის ყურე და ანდამანის ზღვა ინდოეთის ეკონომიკისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. მიუხედავად ამისა, ათწლეულების განმავლობაში, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების სამხედრო-ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხი, ინდოეთის ხელისუფლებების დღის წესრიგში არ მდგარა. ამას ცხადყოფს 2014 წლამდე არსებული მდგომარეობა. კერძოდ, კუნძულებზე არსებობდა ერთგვარი გარემოსდაცვითი პროტექციონისტული რეჟიმი, რომლის საფუძველზეც კონკრეტული პროექტები რეგულირდებოდა (Basu, Bose, & Chaudhury, 2019). აქედან გამომდინარე, 2014 წლიდან, ნარენდრა მოდის ხელისუფლების განსხვავებული მიდგომა კუნძულების მდგომარეობის მიმართ, აჩენს შიდა წინააღმდეგობას და კარდინალურად ცვლის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს რეგიონში.

2014 წლის არჩევნებში ინდოეთის სახალხო პარტიის გამარჯვების შემდეგ, ნარენდრა მოდის მთავრობა გარემოს დაცვის შენარჩუნების პარალელურად, იწყებს ტერიტორიის ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვას. მაგალითად, 2015 წელს, ინდოეთის საზღვაო გადაზიდვების სამინისტრომ 100 მილიონი ინდური რუპია გამოყო კუნძულებზე საზღვაო ჰაბის დასაარსებლად, 2019 წლის გეგმით კი - 661 მილიონი აშშ დოლარი, სამხედრო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად. 2017 წელს შეიქმნა კუნძულთა განვითარების

სააგენტო. სწორედ მოცემულ ფორმატში დაიწყო ანდამანისა და ნიკობარის კონკრეტულ კუნძულებზე მდგრადი განვითარების პროგრამების განხორციელება. ხაზგასასმელია, რომ კუნძულები ინდოეთის სახმელეთო ტერიტორიის 0.2%-ს შეადგენს, თუმცა სწორედ აქაა მოქცეული ინდოეთის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის 30% (Joshi, 2024). მოცემული კუნძულები ე.წ ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონის ცენტრში მდებარეობენ. ეს უკანასკნელი მოიცავს აკვატორიას ბაბ-ელ-მანდების სრუტიდან წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილამდე. უშუალოდ ცნება უკავშირდება 2007 წელს შექმნილ ოთხმხრივი უსაფრთხოების დიალოგს (Quadrilateral Security Dialogue, Quad), რომლის ფარგლებშიც მონაწილეობენ აშშ, ავსტრალია, იაპონია და ინდოეთი. სტრატეგიული დიალოგის ფარგლებში განიხილება საერთო საზღვაო პრობლემების აღმოფხვრის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობები. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მდგომარეობა კი ამ თვალსაზრისით კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ზოგადად, მილიტარიზაცია განყენებულად ვერ განიხილება, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური სისტემის უზრუნველყოფა. აქ საგულისხმო გარემოებად ჩნდება ის ფაქტი, თუ რატომ გადაიხედა არსებული მიდგომა კუნძულებზე არსებული დღის წესრიგის მიმართ უშუალოდ ხსენებული პერიოდის შემდგომ. ერთი მხრივ, მთავარი გამომწვევი ფაქტორი ინდოეთის ოკეანის რეგიონში ჩინეთის პოზიციების გაძლიერებაა (Manhas & Sharma, 2024). პროექტთა ამ სერიას მკვლევართა ნაწილი „მარგალიტთა სიმის“ („String of Pearls”) სახელით მოიხსენიებს. ჩინეთის დაფინანსებით აშენდა გვადარის პორტი პაკისტანში (2007წ.), ჩიტაგონგის პორტი ბანგლადეშში (2004წ.), ჰამბანტოტას პორტი შრი ლანკაში (2007წ.). ინდოეთის სახელმწიფო ლიდერები ყოველთვის ერიდებოდნენ კუნძულების მილიტარიზაციის საკითხის გადახედვას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების დაახლოებას ჩინეთთან. ამას გარდა, შესაძლოა ითქვას, რომ კუნძულების მილიტარიზაცია უარყოფით როლს ითამაშებს ჩინეთთან ურთიერთობის კონტექსტში. ეს კი, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება 2024 წელს BRICS-ის მე-16 სამიტის ფარგლებში ინდოეთსა და ჩინეთს შორის დადგენილ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც მხარეებმა

ჰიმალაის რეგიონში 2020 წლის სტატუს-კვოს აღდგენაზე კომპრომისს მიაღწიეს (Rao, 2024). ხაზგასასმელია, რომ კუნძულების მილიტარიზაციით გამოწვეული დაძაბულობა შეაფერხებს ჩინეთისა და ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობას, რომელიც 2015 წლის შემდეგ დადებითი დინამიკით ხასიათდება. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ჩინეთისთვის საყურადღებოა „მალაკის სრუტის დილემა“, რომლის გავლითაც ჩინეთის სავაჭრო პროდუქციის 60% მოძრაობს (Manhas, Sharma, 2024).

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციას ასახავს. შესაბამისად, კვლევა ხორციელდება ინდოეთის მხრიდან. 2014 წელს, ნარენდრა მოდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ინდოეთის მიდგომა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან არსებული ეკონომიკური ურთიერთობებისა და უსაფრთხოების სტრატეგიის მიმართ კარდინალურად შეიცვალა. კერძოდ, გამოცხადდა „აღმოსავლეთით მოქმედების“ (“Act East”) პოლიტიკა, რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე არსებული „აღმოსავლეთისკენ გახედვა“ (“Look East”) (Hashim, Zulkifli, & Forbes, 2023). შესაბამისად, მოცემული საკითხი სწორედ ამ მიმართულებითაა საყურადღებო. ინდოეთი ცდილობს საერთაშორისო დონეზე მისი სტატუსის ამაღლებას. საამისოდ, არსებითია საზღვაო ძალისა და დოქტრინის სრულყოფა, რაშიც ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების სამხედრო თვალსაზრისით განვითარება მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. როგორც ვთქვით, კუნძულები მალაკის სრუტის სიახლოვეში მდებარეობენ. ეს გეოგრაფიული გარემოება ინდოეთს საშუალებას აძლევს, რომ ზეგავლენა მოახდინოს ინდოეთის ოკეანის რეგიონის წესრიგზე. ამ მხრივ, ინდოეთის მთავარ გამოწვევად ჩინეთი მიიჩნევა, რომელიც ინდოეთის „სტრატეგიულ ალყაში“ მოქცევას ცდილობს. ჩინეთისთვის რეგიონში უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს სავაჭრო სატრანზიტო პუნქტების კონტროლი. ინდოეთი კი აქტიურად ეწინააღმდეგება ჩინეთის სარტყლისა და გზის ინიციატივას, რაც გამოწვეულია ჩინეთ-პაკისტანის ეკონომიკური დერეფნის საკითხით. აქ აღსანიშნავია, რომ, გარკვეულწილად, იკვეთება ინდოეთისა და იაპონიის ინტერესები. 2023 წლის აპრილში იაპონიამ 4 მილიარდი იენის ინვესტიცია განახორციელა ანდამანის კუნძულების სამხედრო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად. შესაბამისად, ინდოეთი

იძენს დამატებით უპირატესობებს როგორც უსაფრთხოების კუთხით, ისე დიპლომატიური გარიგებებისთვის. ინდოეთის ოკეანეში მისი პოზიციების გამყარება უზრუნველყოფს დამატებითი ბერკეტების გაჩენას ჰიმალაის რეგიონის საზღვრების საკითხის დადგენაში. მაშასადამე, კუნძულების მნიშვნელობის ზრდა შესაძლებელია ამ ასპექტითაც განვიხილოთ. (Hashim, Zulkifli, & Forbes, 2023)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხს აქტუალურობას სძენს ინდოეთის საგარეო პოლიტიკაში კუნძულების გეოსტრატეგიული მნიშვნელობის განახლებული შეფასება, რაც ნიუანსს წარმოადგენს და ცვლის რეგიონულ წესრიგს. მოცემული შემთხვევა გვიჩვენებს, თუ რა ფაქტორები უბიძგებს ინდოეთს, რომ შეცვალოს ტრადიციული მიდგომა საკავშირო ტერიტორიის მიმართ. ამგვარი გარდატეხა ხაზს უსვამს ინდოეთის მიდგომის შესწავლის საჭიროებას რეგიონულ კონტექსტში. აქტუალურობას, დამატებით, განაპირობებს ინდოეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი განზომილების გაჩენა და მისი განხორციელება საერთაშორისო ვაჭრობის მხრივ მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში.

ინდოეთის სახეცვლილი სტრატეგია განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის ურთიერთობებს რეგიონის სახელმწიფოებთან. თუკი გასულ ათწლეულებში სამხრეთ-აზიური სახელმწიფოები უარყოფითად რეაგირებდნენ ინდოეთის მხრიდან ანდამანისა და ნიკობარის სტატუსის გადახედვაზე, 2014 წლის შემდგომ ვითარება მკაფიოდაა შეცვლილი. ინდოეთი და რეგიონის სხვა სახელმწიფოები აქტიურად მონაწილეობენ საზღვაო ძალების წვრთნებსა და ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ სფეროში (Basu, Bose, & Chaudhury, 2019). ტერიტორიის მილიტარიზაცია, როგორც სხვა სახელმწიფოს ექსპანსიის შეკავების ფაქტორი კარგად ნაცადი ხერხია. თუმცა აქვე უნდა ვახსენოთ, რომ მოცემულ ქეისში მილიტარიზაცია, უმეტესწილად, გულისხმობს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას. ხსენებული კომპონენტი საყურადღებოა იმ გაგებით, რომ ინდოეთი ორიენტირებულია უსაფრთხოების საკითხის უზრუნველსაყოფად და არსებული პირობები არ მისცემს მას აგრესიული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას.

დამატებით, საინტერესოა თუ რამდენად თავსებადია განსახილველი პროცესი მზარდი ეკონომიკური და ორგანიზაციული (BRICS) თანამშრომლობის ფონზე. კერძოდ, ინდოეთი იზიარებს არაფორმალური გაერთიანების ძირითად ამოცანებს, მათ შორის, ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას მრავალპოლარულ სისტემაში. 2015 წელს, ინდოეთსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის 24 ხელშეკრულება გაფორმდა (Times, 2015). ამავდროულად, მიმდინარე მილიტარიზაციამ შესაძლოა გაზარდოს დაპირისპირების ხარისხი BRICS-ის წევრ ჩინეთთან, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის ფუნქციონირებასა და თანამშრომლობის ხარისხზე. როგორც აღინიშნა, ინდოეთის სახელმწიფო ლიდერები კუნძულების მილიტარიზაციის საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ (Bratton, 2012). ამ დამოკიდებულების განვრცობას ხელს უწყობდა ზემოხსენებული მწვანე პოლიტიკა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, ჩინეთის აქტიური გამოჩენა ინდოეთის ოკეანის რეგიონში ინდოეთს კუნძულების მილიტარიზაციისკენ უბიძგებს. ქვეყნებს შორის, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, დადებითი ძვრებიც შეინიშნება. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 75-ე წლის აღსანიშნავ წერილში, სი ძინფინმა ინდოეთის პრეზიდენტ დრუპადი მურმუს ურთიერთობების გაღრმავებისკენ მოუწოდა. აღნიშნული „დრაკონისა და სპილოს ტანგოს“ სიმბოლური ფრაზით გამოიხატა (Xi says China and India should strengthen ties in 'Dragon-Elephant tango', 2025). ამავდროულად, მართალია, ბრიკს-ი, მეტ-ნაკლებად, სიტუაციური ალიანსის სახით გვევლინება და ზოგად მისიას ისახავს მიზნად, თუმცა ნებისმიერი სახის დაპირისპირება წევრ-სახელმწიფოებს შორის აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს. საინტერესოა, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი ბრიკს-ის მიერ არსებული მსოფლიო წესრიგის სათავისოდ გარდაქმნა იმ პირობებში, თუ მის ორ უმსხვილეს წევრს შორის დაპირისპირების ხარისხი გაიზრდება. ცხადია, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საკითხი ამ კონტექსტში ფუნდამენტურ როლს ასრულებს, ვინაიდან ინდოეთის რეგიონული პოლიტიკის ერთგვარ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ახსნას, თუ რამ გამოიწვია ინდოეთის მხრიდან ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია და შეაფასოს ის რეგიონული პოლიტიკის

კონტექსტში. ზემოთქმულის საფუძველზე, იქნება მცდელობა ამოიხსნას თავსატეხი, თუ რატომ ახორციელებს ინდოეთი იმგვარ სტრატეგიულ ღონისძიებებს კუნძულებზე, როცა ორ ბრიკს-ის წევრ ქვეყანას შორის მზარდი ეკონომიკური თანამშრომლობის დინამიკა და დიპლომატიური დასტაბილურების ფაზა გამოიკვეთა.

საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა და ცვლადები

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმირდება - რა ფაქტორებმა გამოიწვია 2014 წლის შემდეგ ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია ინდოეთის ოკეანეში ჩინეთის გაზრდილი აქტივობის ფონზე. საკვლევი კითხვა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს, თუ რამ უბიძგა ინდოეთს მისთვის უჩვეულო ქმედების განხორციელება და მოეხდინა რეგიონული წესრიგის ტრანსფორმაცია.

ჰიპოთეზა კი ამ სახით ყალიბდება - ინდოეთის ოკეანის რეგიონში ჩინეთის მზარდი საზღვაო-სტრატეგიული გავლენა (დამოუკიდებელი ცვლადი), უბიძგებს ინდოეთს 2014 წლიდან ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციისკენ (დამოკიდებული ცვლადი), რაც წარმოადგენს შემკავებელ ქმედებას. ეს საპასუხო სტრატეგია გამოიხატება კუნძულების ეკონომიკური და სამხედრო-ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით განვითარებით.

უშუალოდ ცვლადებს რომ შევეხოთ, ჩინეთის საზღვაო-სტრატეგიული გავლენის ზრდა რეგიონში (დამოუკიდებელი) გულისხმობს ჩინეთის პოზიციების განვრცობას ინდოეთის ოკეანის სანაპირო ქვეყნებში. ჩინეთის ძირითად ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ენერგომატარებლების იმპორტის უსაფრთხოება. ჯამში, სწორედ აქედან შემოდის ჩინეთის მიერ იმპორტირებული ნავთობის 60%. აღნიშნული საზღვაო მარშრუტები გადის ანდამანის ზღვასა და მალაკის სრუტეზე. შესაბამისად, ჩინეთი ცდილობს ამ საკითხის გადაწყვეტას ე.წ „მარგალიტთა სიმის“ სტრატეგიით, რომელიც სარტყლისა და გზის ინიციატივის დანამატს წარმოადგენს. მართალია, ეს სავაჭრო-ეკონომიკური პროექტია, თუმცა მას აუცილებლად დაემატება უსაფრთხოების

კომპონენტი და განაპირობებს ჩინეთის აქტიურ ინტეგრაციას რეგიონულ წესრიგში. ჩინეთი ეტაპობრივად ავითარებს ინფრასტრქუტურას რეგიონის ქვეყნებში (პაკისტანი, მიანმარი, შრი ლანკა, ბანგლადეში, ტაილანდი, კამბოჯა). მართალია, ზემოხსენებულ სახელმწიფოებში ჩინეთის დაფინანსებით ჩამოყალიბებული პორტები კომერციული გამოყენებისაა, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში მათი ფუნქციური ტრანსფორმაცია შესაძლებელია (Imran & Raza, 2018).

გარდა ეკონომიკური ინტერესებისა, ჩინეთისთვის რეგიონი სამხედრო კუთხითაც აქტუალურია. 2015 წლის ჩინეთის თავდაცვის ე.წ თეთრ წიგნებში გაცხადებულ იქნა, რომ ჩინეთისთვის პრიორიტეტულია არა მხოლოდ სანაპირო წყლების დაცვა, არამედ ღია წყლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საამისოდ, ჩინეთი აფართოებს თავის გავლენებს როგორც ხელოვნური კუნძულების, ისე პორტებისა თუ ლოგისტიკური ცენტრების დახმარებით (Kaul, 2015).

რაც შეეხება ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციას (დამოკიდებული), აქ იგულისხმება კუნძულების თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ზრდა ხსენებულ ტერიტორიაზე. უნდა ითქვას, რომ მილიტარიზაციის ზოგი დეტალი კლასიფიცირებულია და არ არის ხელმისაწვდომი. ამავდროულად, ტექნიკურ დეტალებზე კონცენტრირება კვლევის ამოცანას არ წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად, საინტერესოა, თუ რა სახის ეკონომიკური და სამხედრო-ინფრასტრუქტურული ცვლილებები ხორციელდება კუნძულებზე და რამდენად ითარგმნება ეს რეგიონული წესრიგის ცვლილების მცდელობაში.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

ჩინეთის რეგიონული გავლენის ზრდასა და ინდოეთის მხრიდან ანდამანისა და ნიკოაბრის კუნძულების მილიტარიზაციას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დასადგენად, მიზანშეწონილია არსებული მოცემულობის სიღრმისეული ანალიზი. შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები. ეს უკანასკნელი გამოიყენება კომპლექსური მოვლენის ინტერპრეტაციისა და ახსნისთვის. თვისებრივი

კვლევა რელევანტურია იმ საკითხების გასაანალიზებლად, სადაც კონკრეტული კონტექსტი დიდ როლს თამაშობს საკითხის გააზრებაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ქმნის გავაანალიზოთ, თუ რატომ ახორციელებს ინდოეთი კუნძულების მილიტარიზაციას ჩინეთის გავლენის ზრდის ფონზე, მიუხედავად ბრიკს-ის ფაქტორისა და კრიზისების დასტაბილურების შემთხვევებისა. რაოდენობრივი ანალიზი, ამ მხრივ, ვერ გამოდგება, ვინაიდან კონკრეტული ქცევის მიზნები, შედეგები, აგრეთვე, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ვერ გაიზომება მათემატიკურად. კვლევაში გამოყენებულია შემთხვევის ანალიზი (Case Study). ის ქმნის საკვლევი საკითხის შეფასების კარგ შესაძლებლობას. ამ უკანასკნელის დანერგვით შესაძლებელია პასუხი გაეცეს „რა?“, „როგორ?“ და „რატომ?“ კითხვებს. დადგინდება ის კონკრეტული სტრატეგიული მიზეზები ან ინიციატივები, რამაც განაპირობა ინდოეთის ქმედება. შემთხვევის ანალიზი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკითხის აღწერით. გამოკვლეული იქნება ანალიტიკური დოკუმენტები, ოფიციალური განცხადებები, თავდაცვის თეთრი წიგნები და აკადემიური ლიტერატურა (Yin, 2016) (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 61-62).

კვლევის ჰიპოთეზის, რომელიც გულისხმობს, რომ ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია განპირობებულია ინდოეთის ოკეანის რეგიონში ჩინეთის გავლენის ზრდით, შესასწავლად, გამოყენებულია ანალიტიკური და აღწერითი გამოკვლევა. ეს უკანასკნელი რელევანტურია დასმული პრობლემების, განმაპირობებელი მიზეზებისა და ცვლადებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის შესასწავლად. მოცემულ კვლევაში გამოყენებული იქნება კონტენტ-ანალიზი, რომლის საფუძველზეც შესწავლილი იქნება სხვადასხვა დოკუმენტის შინაარსი (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 100-101).

საკვლევი თემის შესასწავლად მნიშვნელოვანია პირველადი და მეორეული წყაროების გამოყენება. ეს აერთიანებს ინდოეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდებზე განთავსებულ ინფორმაციას კუნძულების ინფრასტრუქტურისა და განთავსებული სამხედრო ბაზების მდგომარეობაზე, აგრეთვე, ინდოეთის ოკეანის რეგიონის უსაფრთხოების შესახებ. ამავდროულად, განიხილება რელევანტური

აკადემიური ლიტერატურა, კვლევითი ცენტრების/Think Tank-ების ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები, ექსპერტთა მოსაზრებები და ინტერნეტ წყაროები.

ნაშრომის მთავარ აკადემიურ ღირებულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე შედარებით მცირე რაოდენობით მოიპოვება სანდო ინფორმაცია, ზოგადად, ნარენდრა მოდის პერიოდის ინდოეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ქართულ ენაზე, აგრეთვე, არ არსებობს ერთიანი აკადემიური ნაშრომი, სადაც გაანალიზებულია ინდოეთის სახეცვლილი მიდგომა რეგიონული პოლიტიკის მიმართ. კვლევა მიზანმიმართულია ასახოს ინდოეთის ოკეანის რეგიონის შეცვლილი წესრიგი ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციის ფონზე და ასახოს მისი გავლენა ინდოეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებულ ურთიერთობაში.

თეორიული ჩარჩო - თავდაცვითი რეალიზმი

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციის კონტექსტუალიზაციისთვის რელევანტურია თავდაცვითი რეალიზმის გამოყენება. სტრუქტურულ რეალიზმთან შედარებით, ის საკითხის უფრო დეტალურად განხილვის საშუალებას იძლევა. თავდაცვითი რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლის თეორიული მიმართულებაა. თავისი არსით, თავდაცვითი რეალიზმი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ ანარქიულია, აუცილებლად არ წარმოშობს სახელმწიფოთა აგრესიულ ქცევას. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ხელს უწყობს ზომიერებისა და სტატუს-კვოს შენარჩუნებას, რადგან გადაჭარბებული ექსპანსია და ძალაუფლების დაგროვება ხშირად იწვევს საპირისპირო რეაგირებას, რაც აგრესორის თვითგადარჩენას ემუქრება (Glaser, 2010).

თავდაცვითი რეალიზმის ფუნდამენტური წინაპირობაა, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიულ სისტემაში, სადაც ცენტრალური ხელისუფლებას არ შეუძლია მათი უსაფრთხოების გარანტირება. თუმცა, თავდასხმითი რეალიზმისგან განსხვავებით, რომელიც ვარაუდობს, რომ უზენაესი ხელისუფლების არარსებობა აიძულებს

სახელმწიფოებს მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი ფარდობითი ძალაუფლება, თავდაცვითი რეალიზმი ამტკიცებს, რომ დომინირებისკენ სწრაფვა ხშირად კონტრპროდუქტიულია. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების მაძიებელი სუბიექტები არიან და არა ძალაუფლების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული. საერთაშორისო სტრუქტურის მოწყობა სახელმწიფოებს არ აძლევს გადამეტებული ძალაუფლების მოპოვების საშუალებას. მათი მიზანია საკმარისი ძალაუფლების მოპოვება გადარჩენის უზრუნველსაყოფად და არა სხვების დაპყრობა ან ზედმეტად კონტროლი. ეს არგუმენტი ეფუძნება დაკვირვებას, რომ გადაჭარბებული ამბიცია, როგორც წესი, იწვევს გამაწონასწორებელი კოალიციების ფორმირებას, რაც ამცირებს სახელმწიფოს უსაფრთხოების დონეს. ამ არგუმენტის ლოგიკა ჩადებულია უსაფრთხოების დილემის კონცეფციაში, რაც თავდაცვითი რეალიზმის ცენტრალური პრინციპია (აკობია, 2006, გვ. 30-31).

უსაფრთხოების დილემა გულისხმობს იმ აზრს, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად მიღებულმა ზომებმა, როგორიცაა სამხედრო კუთხით გაძლიერება ან ალიანსები, შეიძლება უნებლიედ საფრთხე შეუქმნას სხვა სახელმწიფოებს, რაც მათ აიძულებს ანალოგიური რეაგირება მოახდინონ. ეს დინამიკა, რობერტ ჯერვისის მიერ მის ნაშრომში "Perception and Misperception in International Politics" („აღქმა და მცდარი აღქმა საერთაშორისო პოლიტიკაში") არის გადმოცემული. ის ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება თავდაცვითი ქმედებებიც კი შეტევად იქნას აღქმული, რაც ესკალაციის ციკლებს იწვევს. ჯერვისი ხაზს უსვამს მცდარი აღქმის როლს და თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსს იმის განსაზღვრაში, მიგვიყვანს თუ არა ეს კონფლიქტამდე. როდესაც თავდაცვას აქვს უპირატესობა, სახელმწიფოები უფრო მეტად ირჩევენ თავდაცვით პოზიციებს და მოქმედებენ თავშეკავებულად. ამავდროულად, თუ თავდასხმა დომინანტურად აღიქმება, სახელმწიფოებმა, შესაძლოა, იგრძნონ პირველად დარტყმის აუცილებლობა, შიშობენ რა, რომ დაყოვნება კატასტროფული იქნება (Jervis, 1976, pp. 62-67) (Jervis, Cooperation under the security dilemma, 1978).

რობერტ ჯერვისი ხაზს უსვამს, რომ მცდარი აღქმის პოტენციალი ყოველთვის არსებობს საერთაშორისო პოლიტიკაში. თუნდაც კეთილგანწყობილი სახელმწიფოები, შეიძლება, აღიქვან, როგორც საფრთხის შემცველნი სამხედრო შესაძლებლობების საფუძველზე. ჯერვისის ანალიზი აღქმის შესახებ, ხაზს უსვამს თავდაცვითი განზრახვების გადმოცემის სირთულეს ანარქიულ გარემოში. ეს უკანასკნელი შემოაქვს „სპირალური მოდელების“ კონცეფციას, რათა ახსნას, თუ როგორ შეიძლება ორმხრივმა შიშმა და გაუგებრობამ კონფლიქტამდე მიგვიყვანოს, მაშინაც კი, როდესაც არც ერთ მხარეს არ სურს ომი. თავდაცვითი რეალისტებისთვის, უსაფრთხოების დილემის შერბილება გამჭვირვალობითა და თავშეკავებული სამხედრო ქმედებებით, არსებითი ხდება მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

კენეტ უოლცმა, რომლის ნეორეალისტური ჩარჩოც საფუძვლად უდევს თავდაცვით რეალიზმს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სისტემური შეზღუდვების გავლენის გაანალიზების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ უოლცმა პირდაპირ არ მოიხსენია თავისი ნაშრომი, როგორც თავდაცვითი რეალიზმი, მისი აქცენტი სისტემურ შეზღუდვებსა და ბალანსირებაზე საფუძვლად უდევს თეორიის ფოკუსს უსაფრთხოებით განპირობებულ ქცევაზე. თავის „საერთაშორისო პოლიტიკის თეორიაში“ (Theory of international politics) (1979) უოლცი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურა წარმოშობს თვითდახმარების დინამიკას, რომელშიც სახელმწიფოები იძულებულნი არიან დაეყრდნონ საკუთარ შესაძლებლობებს გადარჩენის უზრუნველსაყოფად (Waltz, 1979, p. 91). თუმცა, უოლცი არ ამტკიცებს, რომ ეს სახელმწიფოებს შეუზღუდავი ძალაუფლებისკენ უბიძგებს. პირიქით, ის ხაზს უსვამს გადაჭარბებული ექსპანსიის სტრუქტურულ შედეგებს. სახელმწიფო, რომელიც ძალიან დიდ ძალაუფლებას აგროვებს, რისკავს სხვების მიერ გამაწონასწორებელი რეაგირების პროვოცირებას, რაც ძირს უთხრის მის უსაფრთხოებას, ნაცვლად მისი გაძლიერებისა. ამ თვალსაზრისით, უოლცი უზრუნველყოფს თეორიულ საფუძველს თავდაცვითი რეალისტური დებულებისთვის, რომ თავშეკავება და არა აგრესია, ხშირად ყველაზე რაციონალური სტრატეგიაა ანარქიის პირობებში (Waltz, 1979, pp. 117-118).

სტივენ უოლტმა, უოლცის იდეები გაავრცელა „საფრთხის ბალანსის“ კონცეფციის შემოღებით, თავის „ალიანსების წარმოშობაში“ (The origins of alliances) (1987) უოლტი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოები ირჩევენ ბალანსს აღქმული საფრთხეების წინააღმდეგ, რომლებიც განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ჯამური ძალა, გეოგრაფიული სიახლოვე და თავდასხმითი შესაძლებლობები. ეს მიდგომა მიანიშნებდა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეამცირონ დაძაბულობა კეთილგანწყობილი განზრახვების მეშვეობით, მაგალითად, შეიარაღების კონტროლის შეთანხმებებით ან დიპლომატიური ჟესტებით. უოლტის ანალიზმა ალიანსების ფორმირების შესახებ, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში, აჩვენა, თუ როგორ თანხმდებიან სახელმწიფოები საფრთხეების წინააღმდეგ და არ მიჰყვებიან დომინანტ ძალებს, რაც აძლიერებს თავდაცვით რეალისტურ ვარაუდებს თავშეკავების შესახებ (Walt, 1987).

თავდაცვითი რეალიზმი მხოლოდ უოლცის სტრუქტურულ შეხედულებებზე არ არის დაფუძნებული. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა, ამ თვალსაზრისით, არის ჩარლზ გლეიზერი. თავის წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის რაციონალური თეორია: კონკურენციისა და თანამშრომლობის ლოგიკა“ (Rational theory of international politics: The logic of competition and cooperation) (2010), გლეიზერი ავითარებს ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც განასხვავებს ორი ტიპის სახელმწიფოებს: უსაფრთხოების მაძიებელსა და ხარბს. უსაფრთხოების მაძიებელი სახელმწიფოები მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და ავტონომიის შენარჩუნებას ისახავენ მიზნად, ხოლო ხარბი სახელმწიფოები ძალაუფლებას გადარჩენისთვის საჭიროზე მეტი მიზნებისთვის მისდევენ. გლეიზერის აზრით, საერთაშორისო კონფლიქტების დიდი ნაწილი წარმოიშობა არა თავად სისტემის სტრუქტურიდან, არამედ სახელმწიფოთა განზრახვების მცდარი იდენტიფიცირებიდან. თუ სახელმწიფოებს შეუძლიათ ზუსტად შეაფასონ ერთმანეთის მოტივები და განასხვავონ უსაფრთხოების მაძიებელი და ხარბი აქტორები, მაშინ თანამშრომლობა შესაძლებელი ხდება. ამრიგად, გლეიზერი თავდაცვით რეალიზმს შემეცნებით და აღქმით განზომილებას სძენს, სტრუქტურული საფუძვლების შენარჩუნებით. გლეიზერის ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსის მნიშვნელობაზე, სახელმწიფოთა

სტრატეგიების განსაზღვრაში. მისი აზრით, როდესაც თავდაცვითი უპირატესობები მაღალია, რაც ნიშნავს, რომ დაცვა უფრო ადვილი და იაფია, ვიდრე შეტევა, სახელმწიფოები უფრო ფრთხილად მოქმედებენ. ასეთ პირობებში, სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე ორიენტირებული ქცევა თავად სტრუქტურის მიერ არის სტიმულირებული. თუმცა, თუ შეტევას აქვს უპირატესობა, მაშინ სისტემამ, შესაძლოა, უფრო აგრესიული სტრატეგიები წარმოშვას, თუნდაც სხვა შემთხვევაში უსაფრთხოების მაძიებელ სახელმწიფოებს შორის (Glaser, 2010, pp. 50-54, 71-73).

თავდაცვითი რეალიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ავტორია ჯეკ სნაიდერი. თავის წიგნში „იმპერიის მითები: საშინაო პოლიტიკა და საერთაშორისო ამბიცია“ (Myths of Empire: Domestic Politics and International Ambition) (1991), ის იკვლევს ისტორიულ შემთხვევებს, როგორიცაა იმპერიული გერმანია, იაპონია და საბჭოთა კავშირი. ზემოთქმულზე დაყრდნობით, ის აჩვენებს, რომ ინტერესთა ჯგუფებს როგორიცაა სამხედრო ელიტები, შეუძლიათ ხელი შეუწყონ აგრესიულ სტრატეგიებს, რომლებიც საბოლოოდ ძირს უთხრის ეროვნულ უსაფრთხოებას. სნაიდერის ანალიზი ცხადყოფს, თუ როგორ შეუძლია საშინაო პოლიტიკურ სტრუქტურებსა და ინტერესთა ჯგუფების ქმედებებს დაამახინჯოს თავდაცვითი რეალიზმის რაციონალური ლოგიკა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომი მოიცავს ლიბერალური და კონსტრუქტივისტული თეორიის ელემენტებს, სნაიდერი რჩება რეალიზმის პარადიგმაში, განსაკუთრებით მის ვარაუდში, რომ სისტემური შედეგები ძალაუფლების დინამიკით არის ფორმირებული, თუნდაც შიდა პოლიტიკით დამახინჯებული იყოს (Snyder, 1991).

ბარი პოზენი თავდაცვით რეალიზმს სამხედრო-სტრატეგიულ განზომილებას სძენს. თავის ნაშრომში „სამხედრო დოქტრინის წყაროები: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია მსოფლიო ომებს შორის“ (The sources of military doctrine: France, Britain, and Germany between the world wars) (1984), პოზენი იკვლევს, თუ როგორ აყალიბებენ სამხედრო ორგანიზაციები დოქტრინებს და შემდგომ, ამ დოქტრინების გავლენას ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ის ამტკიცებს, რომ როდესაც სახელმწიფოები იღებენ თავდაცვით

სამხედრო დოქტრინებს, რომლებიც ძირითადად შექმნილია შეკავებისა და ტერიტორიული თავდაცვისთვის, ისინი ისწრაფვიან მშვიდობის შესანარჩუნებისა და პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად. პოზენის ნაშრომი აჩვენებს, რომ დოქტრინას შეუძლია შეამციროს ან გაამწვავოს უსაფრთხოების დილემა. მაგალითად, მაღალმობილური, შეტევითი შესაძლებლობების მქონე ძალების განვითარებამ შესაძლოა საფრთხის შემცველი სიგნალები გაუგზავნოს მეზობლებს, მაშინაც კი, თუ მოცემული სახელმწიფო არსებითად აგრესიული არ არის. ამის საპირისპიროდ, სტატიკური, თავდაცვითი პოზიციები შესაძლოა მშვიდობიან განზრახვებს გადმოსცემდეს და მცდარი გათვლის ალბათობას ამცირებდეს (Posen, 1984, pp. 13-16).

თავდაცვითი რეალიზმი მკვეთრად განსხვავდება თავდასხმითი რეალიზმისგან. თავდასხმითი რეალიზმის ავტორები, როგორიცაა ჯონ მირშაიმერი, ამტკიცებენ, რომ რადგან სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დარწმუნდნენ სხვების განზრახვებში, ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში, რაციონალური სტრატეგია რეგიონული ჰეგემონიისკენ სწრაფვაა (Mearsheimer, 2001, pp. 360-367). ამ პერსპექტივიდან, ძალაუფლების მაქსიმიზაცია გადარჩენის უზრუნველსაყოფად ერთადერთი საიმედო საშუალებაა. თავდაცვითი რეალიზმის მიმდევრები უარყოფენ ამ დეტერმინიზმს, ამტკიცებენ რა, რომ იმავე სტრუქტურულმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ზომიერება. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ როგორ აფასებს ეს ორი თეორია აგრესიული ქცევის ხარჯებსა და შედეგებს. თავდაცვითი რეალიზმი ხაზს უსვამს, რომ აგრესიული სტრატეგიები ხშირად იწვევს გამაწონასწორებელ კოალიციებს და ამით ამცირებს აგრესორის უსაფრთხოებას.

კლასიკური რეალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ვარაუდს იზიარებს თავდაცვით რეალიზმთან, განსხვავდება თავისი ფუნდამენტური ლოგიკით. მოაზროვნეები, როგორიცაა ჰანს მორგენთაუ, ძალაუფლებისთვის ბრძოლას ადამიანის ბუნებას მიაწერდნენ, ამტკიცებენ რა, რომ ძალაუფლების სურვილი თანდაყოლილია პოლიტიკურ ქცევაში (Morgenthau, 1948, pp. 4-15). თავდაცვითი რეალიზმი, პირიქით, აქცენტს

სტრუქტურაზე ამახვილებს. ის სახელმწიფოს ქცევას ხსნის არა ფსიქოლოგიით ან მორალით, არამედ შესაძლებლობების განაწილებითა და ანარქიული სისტემის იმპერატივებით. მიუხედავად ამისა, ეს ორი პერსპექტივა ემთხვევა ერთმანეთს წინდახედულობის, გადაჭარბებული ექსპანსიის საფრთხეებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ტრაგიკულ ბუნებაზე ხაზგასმაში.

მოცემულ შემთხვევას თავდაცვითი რეალიზმი კარგად შეესაბამება. მასზე დაყრდნობით იკვეთება ინდოეთის ქმედების თავდაცვითი შინაარსი, რაც ხაზს უსვამს შეკავების ფაქტორს. არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ინდოეთს არ გააჩნია საკმარისი რესურსი რეგიონში დომინაციის მოსაპოვებლად და მოცემული შემთხვევა უნდა განვიხილოთ თავდაცვის სტრატეგიის ნაწილად. ეს უკანასკნელი კი ჩინეთის გავლენის ზრდის პასუხია. თუმცა, აღნიშნული აყალიბებს უსაფრთხოების დილემას, ვინაიდან ჩინეთისთვის ზემოთქმული პროცესი საფრთხედ განიხილება, შესაბამისად, ის ახორციელებს სხვადასხვა სახის დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სამხედრო მანევრებს.

ტერმინების განმარტება

ნაშრომის სათაურში, საკვლევ კითხვასა და ჰიპოთეზაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები „მილიტარიზაცია“ და „შეკავება“. საჭიროა აღნიშნულის განმარტება, რათა მკითხველმა სათანადოდ შეძლოს შინაარსის გაანალიზება და არ წარმოიქმნას ბუნდოვანება.

მილიტარიზაცია

ტერმინი მილიტარიზაცია, ზოგადად, გულისხმობს პროცესს, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული ძალა აუმჯობესებს საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებს, ინფრასტრუქტურას, ტექნოლოგიებს და სხვა მდგენელებს. კონკრეტულ ლოკაციაზე ან სტრუქტურულ ერთეულში. მას წინ უძღვის სახელმწიფოს მხრიდან რაიმე საშიშროების ან საფრთხის აღქმა. ის შეიძლება ემსახურებოდეს თავდასხმით (ტერიტორიული ექსპანსია), ან თავდაცვით ამოცანებს (შეკავება). მილიტარიზაცია, აპრიორი, არ არის დაკავშირებული სამხედრო მოვლენებთან. სამხედრო კომპონენტების განვითარებით, სახელმწიფო

დამატებით ბერკეტებს იძენს უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის წარმოების თვალსაზრისით (Gray, 1999).

მოცემული კვლევის კონტექსტში, მილიტარიზაცია გულისხმობს ინდოეთის თავდაცვითი სტრატეგიის პრაქტიკულად განხორციელებას, რომელიც მიმართულია ჩინეთის „მარგალიტთა სიმის“ პროექტის წინააღმდეგ. არსებითია, რომ „მილიტარიზაცია“ არ უნდა იყოს გაგებული ვიწროდ, მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებასთან ასოცირებულად. მოცემულ შემთხვევაში, ტერმინი გულისხმობს კუნძულების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდას, რიგი სამხედრო, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებების შედეგად. ის დაცლილია იდეოლოგიური კომპონენტისგან და ემყარება უსაფრთხოების გათვლებს. სახსენებელია, რომ არ უნდა მოხდეს აღრევა მილიტარიზმის პოლიტიკურ იდეოლოგიასთან. ეს უკანასკნელი ასახავს ამა თუ იმ ხელისუფლების სურვილს, გახადოს მილიტარიზაციის პროცესი სახელმწიფოს იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. როგორც წესი, ხსენებული მიდგომა ითარგმნება ეროვნული ინტერესების აგრესიული გზით განხორციელებაში. საგულისხმოა, რომ ამას თან ახლავს იდეოლოგიური მხარდაჭერა.

შეკავება

შეკავება საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ფუნდამენტური ტერმინია. ის გულისხმობს აქტორის მიერ კონკურენტის დარწმუნებას იმ გარემოებაში, რომ ამ უკანასკნელის ქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის მიღებულ სარგებელს. შეკავება ხორციელდება არა უშუალოდ ძალის გამოყენებით, არამედ მისი გამოყენების მუქარით ან საშიშროებით (Schelling, 1966). ამ პარადიგმაში, საფრთხის დამაჯერებლობის ცხადი აღქმა ფიზიკურ შესაძლებლობებზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

შეკავება, შესაძლოა, განხორციელდეს როგორც დასჯის, ისე უარყოფის (Denial) გზით. პირველი გულისხმობს საპასუხო ზომას, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს თავდამსხმელს (მაგ. საპასუხო დარტყმა ბირთვული იარაღით). რაც შეეხება მეორე

მეთოდს, ის კონვენციურ ან რეგიონულ დონეზეა რელევანტური. ის, მეტწილად, თავდაცვითი ხასიათისაა და ამცირებს თავდასხმის რისკს მისი წარუმატებლად დასრულების ალბათობის ზრდით. ამ კონტექსტში მოიაზრება თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, გეოგრაფიული უპირატესობა და სამხედრო წარმომადგენლობის გაფართოება (Snyder G. H., 1961).

შეკავების თეორია აქტუალური ცივი ომის პერიოდში ხდება. მართალია, მის ჩანასახზე ანტიკურ ეპოქაშიც შეგვიძლია ვისაუბროთ, თუმცა თანამედროვე სახით ის სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩნდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ბირთვულ სტრატეგიას, რომელმაც, მოგვიანებით, მოიცვა საზღვაო, კიბერუსაფრთხოების და კონვენციური განზომილებები. საგულისხმოა, რომ შეკავება არ უნდა იყოს განხილული, როგორც ფიქსირებული, დროსა და სივრცეში უცვლელი დოქტრინა. მისი შინაარსი დამოკიდებულია კონტექსტსა და საერთაშორისო პოლიტიკის დინამიკაზე. შეკავების სტრატეგიის შემუშავებაშუ გადამწყვეტ როლს ასრულებს ძალთა ბალანსი, პოლიტიკური ნება და საფრთხეთა აღქმა. მოკლედ რომ ვთქვათ, შეკავება განგრძობადი პროცესია და რეაგირებს ცვალებად გეოპოლიტიკურ მოცემულობაზე.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში, შეკავება განიხილება როგორც სტრატეგია, რომელიც ანდამანისა და ნიკობარის მილიტარიაციას უდევს საფუძვლად. ინდოეთის ქმედებები მიეკუთვნება უარყოფით შეკავებას (Detterence by denial). თავისი სამხედრო და სადაზვერვო შესაძლებლობების ზრდით, ინდოეთი ცდილობს, ერთი მხრივ, შეამციროს ჩინური აქტივობები ინდოეთის ოკეანეში და გაზარდოს ის ფასი, რომლის გადახდაც ჩინურ მხარეს წინააღმდეგობის შემთხვევაში მოუწევს. საამისოდ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის კუნძულების ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა.

შეკავების სტრატეგია უკავშირდება თავდაცვით რეალიზმსაც. კერძოდ, სახელმწიფოები აგრესიული პოლიტიკის ნაცვლად, ბალანსირების გზით უსაფრთხოების მოპოვებისკენ ისწრაფვიან. ინდოეთის მხრიდან კუნძულების მნიშვნელობის გადახედვა არ წარმოადგენს ექსპანსიაზე ორიენტირებას, არამედ მიზანმიმართულია რეგიონული სტატუს-კვოს

შენარჩუნებისკენ. 2025 წლის მდგომარეობით, ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მუდმივი ჩინური სამხედრო ბაზის არარსებობა მიუთითებს მილიტარიზაციის, როგორც შეკავების ფაქტორის შედეგიანობაზე. მართალია, რთულია მოვლენების წინასწარ განსაზღვრა, თუმცა ზემოხსენებული პროცესი ეფექტურად განაპირობებს სტაბილურობას.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

შესავალში აღინიშნა, რომ კუნძულების მნიშვნელობის გადააზრება სწორედ ნარენდრა მოდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (2014წ.) მოხდა. ჩვენ მიერ განხილულ ნაშრომებში ავტორები ხსნიან, თუ რა გარემოებებმა კუნძულებზე სტრატეგიული ინფრასტრუქტურის განვითარების ნელი ტემპი. ინდოეთის აღმოსავლეთის საზღვაო სარდლობის ყოფილი მეთაური ბისვაჯიტ დასგუპტა თავის სტატიაში რამდენიმე მიზეზს გამოყოფს. პირველ რიგში, საგულისხმოა კუნძულების დაშორება კონტინენტური ტერიტორიიდან. კერძოდ, დისტანცია 1300 კილომეტრს შეადგენს, რაც ართულებს ლოგისტიკური საქმიანობის წარმოებას. ამას გარდა, შემაფერხებელია არსებული გარემოსა და აბორიგენი ტომების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობების სერია, რასაც ემატება ბიუროკრატიული წინაღობები. კარნეგის ცენტრის მკვლევარი დარშანა ბარუა თავის სტატიაში: „ანდამანი და ნიკობარი, როგორც ინდოეთის ჭკვიანი კუნძულები" (Andaman and Nicobar as India's Smart Islands) ამასთან მიმართებით ხაზს უსვამს პროექტების ღირებულებას. კერძოდ, წლების განმავლობაში, ხელისუფლების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა გამოწვეული იყო მწვანე პოლიტიკით განსაზღვრული შეზღუდვებით, რაც გარკვეულწილად ზრდიდა თითოეული პროექტის ხარჯებს. რაც შეეხება დამოკიდებულების ცვლილებას, ავტორის შეხედულებით, ნარენდრა მოდის ხელისუფლებისთვის უპირატესია უსაფრთხოების საკითხის მოგვარება, რის ფონზეც ზემოხსენებული ვალდებულებები ნაკლებად აქტუალურია (Dasgupta, 2024) (Baruah, 2017).

აქვე მიზანსეწონილი იქნება მოკლედ განვიხილოთ უშუალოდ საკვლევ პერიოდამდე არსებული მდგომარეობა. აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში მომუშავე სპეციალისტი კრის მაკლაკჰლანი The Diplomat-ში გამოქვეყნებულ სტატიაში: „ანდამანისა

და ნიკობარის კუნძულები როგორც სტრატეგიული შემკავებელი“ (Andaman and Nicobar Islands as Strategic Deterrent), ჩინეთის ფლოტის ზრდის კონტექსტში კუნძულების თავდაცვითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას არსებითად მიიჩნევდა. ერთი მხრივ, ნებისმიერი სტრატეგიული გადაწყვეტილება რეგიონის სახელმწიფოების მხრიდან მძლავრ სიგნალად ჩაითვლებოდა, რაც ინდოეთს მძლავრ სახელმწიფოდ წარმოაჩენდა. 2014 წლისთვის განთავსებული ძალები კი საამისოდ საკმარისი არ იყო. კუნძულების სამხედრო ბაზებზე, ძირითადად, თავმოყრილი იყო სანაპირო დაცვისა და სამაშველო ხომალდების შეზღუდული რაოდენობა. აქედან გამომდინარე, ხსენებული შესაძლებლობები ვერ უზრუნველყოფდა სადაზვერვო ოპერაციების განხორციელებას. ამას გარდა, პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა ასაფრენი ბილიკების გაუმართავობაც. აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდებოდა კონკრეტული დიდი ზომის თვითმფრინავების განთავსება, რაც აქვეითებდა კუნძულების, როგორც სადაზვერვო პუნქტის გამოყენების პოტენციალს (Mclachlan, 2014).

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები ინდოეთის საზღვაო სტრატეგიის არსებით კომპონენტებს წარმოადგენენ. ამ მხრივ, საგულისხმოა როგორც გეოგრაფიული, ისე გეოსტრატეგიული ასპექტები. შესავალში უკვე აღინიშნა კუნძულების გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ. მკვლევრები აჰმად შიბლი ბინ ჰაშიმი, ნორაინი ზულკიფლი და ლ. ფორბსი თავის ნაშრომში: „ჩინეთის რეაგირება ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციის მიმართ“ (China reactions towards India’s military modernization at Andaman and Nicobar Islands) ხაზს უსვამენ გეოსტრატეგიულ ფაქტორს. კერძოდ, კუნძულების სამხრეთ ჩინეთის ზღვასთან სიახლოვე მას ბენგალის ყურეში „თავდაცვით ციხესიმაგრედ“ აქცევს. მოცემული რეგიონი საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სივრცეა. ჩინეთის ენერგომატარებლების იმპორტის 80% სწორედ ინდოეთის ოკეანის ამ მონაკვეთზე გადის. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს საკითხის გეოსტრატეგიულ მდგენელს. ამავდროულად, კუნძულების მდებარეობა რეგიონის სხვა სახელმწიფოების დაინტერესებასაც იწვევს. ამას მიუთითებს იაპონიის მიერ განხორციელებული 4 მილიარდი იენის ინვესტიცია კუნძულების ინფრასტრუქტურის

განსავითარებლად. ცხადია, აღნიშნული ქმედება ინდოეთის ოკეანის წესრიგის კონტექსტშია საგულისხმო (Hashim, Zulkifli, & Forbes, 2023).

კუნძულების გეოსტრატეგიული მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით, ნიუ დელის თავდაცვის კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელი სუჯან ჩინოი თავის ნაშრომში: „ანდამანისა და ნიკობარის სტრატეგიული პოტენციალის გამოყენების დროა“ (Time to Leverage the Strategic Potential of Andaman and Nicobar Islands) აღნიშნავს, რომ კუნძულებს შორის არსებული სრუტეები (დანკანის, მეათე გრადუსის, პრეპარისის და მეექვსე გრადუსის) საერთაშორისო სავაჭრო მარშრუტებს წარმოადგენენ, რაც ზრდის ინდოეთის ხელისუფლების დაინტერესებას კუნძულების მიმართ. ამავდროულად, კუნძულები განხილულია, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი საშუალება. კერძოდ, კუნძულები წარმოადგენს ქვაკუთხედს საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ვინაიდან უზრუნველყოფს ზემოხსენებულ სახელმწიფოებთან სამხედრო წვრთნების (მაგ. MILAN) განხორციელებას. ეს ნარენდრა მოდის “Act East”-ის პოლიტიკაში ხელშესახებ როლს ასრულებს. ინდოეთის ავიაციის, აერონავტიკისა და დრონების საერთაშორისო ფონდის დირექტორი სანატ კაული თავის წიგნში „ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები: ინდოეთის გამოუყენებელი სტრატეგიული აქტივები“ (Andaman and Nicobar Islands: India’s untapped strategic assets) კუნძულებს ინდოეთისთვის ერთგვარ „სტრატეგიულ აქტივად“ განიხილავს. ეს განპირობებულია მათი სტრატეგიული მდებარეობით. კუნძულების მილიტარიზაცია ინდოეთს რეგიონის სხვა სახელმწიფოების საზღვაო აქტივობების კონტროლის დამატებით შესაძლებლობას ანიჭებს. (Chinoy, 2020) (Kaul, 2015).

ჯავაჰარლალ ნერუს სამთავრობო კოლეჯის ასოცირებული პროფესორი კაილაშ ჯოში თავის ნაშრომში „ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა“ (Strategic Significance of Andaman and Nicobar Islands) კუნძულებს სტრატეგიული მგეგმავების სამოთხეს უწოდებს. იგი კუნძულებს მოიხსენიებს, როგორც მსოფლიოში ყველაზე სტრტეგიულად განლაგებულ კუნძულთა ჯაჭვს (Joshi, 2024). პოდიშერის

უნივერსიტეტის მკვლევარი პ. მურალიფრასათი, სტატიაში: „ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების როლი ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში: ინდოეთის აღმოსავლეთის ღუზა“ (Role of Andaman and Nicobar Islands in the Indo-Pacific: India's Eastern Anchor) და ალაჰაბადის უნივერსიტეტში მოღვაწე ავტორი რემ შარუფიც, თავის მხრივ, მისსავე ნაშრომში: „ანდამანისა და ნიკობარის სტრატეგიული მნიშვნელობა: ინდური პერსპექტივა“ (Strategic Importance of Andaman and Nicobar Islands: An Indian Perspective) დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებენ კუნძულებს. განხილულ მოძიებულ ლიტერატურაში ამ კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობის რამდენიმე მიზეზი სახელდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მალაკის სრუტე, რომლის შესასვლელთან არიან განალაგებული ნიკობარისა და ანდამანის კუნძულები. სრუტე ანდამანის ზღვასა და სამხრეთ ჩინეთის ზღვის დამაკავშირებელი უმოკლესი გზაა, რომელზეც დიდი რაოდენობის საქონელი მოძრაობს, საიდანაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა. საზღვაო გზაზე არსებობაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რის გამოც, შვარუფიც, ჯოშიც და მურალიფრასათიც მაღალ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებენ ნიკობარისა და ანდამანის კუნძულებს. მურალიფრასათს მიაჩნია, რომ მალაკის სრუტესთან მდებარეობის გამო ნიკობარისა და ანდამანის კუნძულებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ ინდოეთისა და ჩინეთის საზღვაო პაექრობაში (Muraliprasath, 2021) (Swaroop, 2021).

ინდოეთის საზღვაო ძალების ყოფილი კომოდორი ს.ლ დეშმუხი განიხილავს ანდამანისა და ნიკობარის სარდლობის განახლებულ შეფასებაზე. თავდაცვის კვლევისა და სწავლების ცენტრში გამოქვეყნებულ სტატიაში: „ანდამანისა და ნიკობარის სარდლობის სტრატეგიული მნიშვნელობა - გადაფასება“ (Strategic Importance of Andaman and Nicobar Command-A Revaluation) შედარებით განსხვავებულ ახსნას გვთავაზობს. ზემოხსენებული ავტორების მსგავსად ინდოეთის ქმედების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორად ისიც ჩინეთის გააქტიურებას მიიჩნევს. კერძოდ კი, ხელოვნური კუნძულებისა და არალეგალური თევზჭერის გაზრდილ შემთხვევებს. ამ საკითხების გადასაჭრელად

კუნძულების მილიტარიზაცია არსებით როლს შეასრულებს. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, გარდა საერთაშორისო მარშრუტების კონტროლისა, კუნძულების მნიშვნელობას QUAD-ის კონტექსტში განიხილავს. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საშუალებით ინდოეთს შეუძლია ურთიერთობის გაღრმავება ორგანიზაციის სხვა წევრებთან (ავსტრალია, იაპონია და აშშ). საამისოდ, ხელშესახებია ერთობლივი წვრთნების (მაგ. Malabar-ის) განხორციელება, რაც რეგიონული მასშტაბით მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს და გაანეიტრალებს საერთაშორისო მარშრუტებზე არსებულ საფრთხეებს. ამავდროულად, კუნძულების მეშვეობით შესაძლებელია ურთიერთობის გაღრმავება ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებთან. აღნიშნული გადაწყვეტილება დააბალანსებს ჩინეთის გავლენას რეგიონში (Deshmukh, 2021).

ზემოხსენებულ თემაზე ავტორთა შეხედულებები ეფუძნება როგორც პირველად, ისე მეორეულ წყაროებს. ერთი მხრივ, ნაშრომებში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების დილემის საკითხს. აქ გარკვეულ როლს თამაშობს ავტორთა ნაწილის ინდური წარმოშობა. ფაქტობრივად, არ არის განხილული ბრიკს-ის კონტექსტი და ის გარემოება, თუ რამდენად არის შესაძლებელი მილიტარიზაციამ გაართულოს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ურთიერთობები. ინდოეთი იზიარებს არაფორმალური გაერთიანების ძირითად ამოცანებს, მათ შორის, ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას მულტიპოლარულ სისტემაში. 2015 წელს, ინდოეთსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის 24 ხელშეკრულება გაფორმდა (The Economic Times, 2015). ამავდროულად, მიმდინარე მილიტარიზაციამ შესაძლოა გაზარდოს დაპირისპირების ხარისხი ბრიკს-ის წევრ ჩინეთთან, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის ფუნქციონირებასა და თანამშრომლობის ხარისხზე. ამავდროულად, მართალია, ბრიკს-ი, მეტ-ნაკლებად, სიტუაციური ალიანსის სახით გვევლინება და ზოგად მისიას ისახავს მიზნად, თუმცა ნებისმიერი სახის დაპირისპირება წევრ-სახელმწიფოებს შორის აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს. საინტერესოა, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი ბრიკს-ის მიერ არსებული მსოფლიო წესრიგის სათავისოდ გარდაქმნა იმ პირობებში, თუ მის ორ უმსხვილეს წევრს შორის დაპირისპირების ხარისხი გაიზრდება. ცხადია, ანდამანისა და ნიკობარის

კუნძულების საკითხი ამ კონტექსტში ფუნდამენტურ როლს ასრულებს, ვინაიდან ინდოეთის რეგიონული პოლიტიკის ერთგვარ ქვაკუთხედს წარმოადგენს (Times, 2015).

ხაზგასასმელია ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების ისტორიული ფონი, რასაც ჩვენს მიერ განხილულ ლიტერატურაშიც ექცევა ყურადღება. მურალიფრასათი (2021) აღნიშნავს, რომ კუნძულების სრული პოტენციალი პირველად იაპონელებმა გაიაზრეს მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მათ მცირე ხნით ისინი ოკუპირებული ჰქონდათ. ზოგიერთი ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცივი ომის შემდგომ პერიოდში შეცვლილ გეოპოლიტიკურ ვითარებას და ამ ყველაფრის ფონზე ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების გაზრდილ სტრატეგიულ მნიშვნელობას. შვარუფი, მურალიფრასათი და ჯოში ასევე ხაზს უსვამენ XXI საუკუნეში ინდოეთისა და ჩინეთის საზღვაო შეჯიბრებას, სადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნიკობარისა და ანდამანის კუნძულების სტრატეგიულ მდებარეობას. კუნძულების მილიტარიზაციის განმაპირობებელი მიზეზები ავტორებს განსხვავებული ასპექტით აქვთ განხილული. ჰაშიმი, ზულკიფლი და ფორბსი გამოყოფენ 6 მთავარ ფაქტორს, რამაც ინდოეთს აღნიშნული ქმედების განხორციელებისკენ უბიძგა, ესენია: საზღვაო ინტერესების დაცვა, რეგიონში მეკობრეობის შეჩერება, სავაჭრო მარშრუტების კონტროლი, გეოსტრატეგიული უპირატესობის გამოყენება, საზღვაო შესაძლებლობების გაძლიერება და ჩინეთთან მზარდ დაპირისპირებაზე რეაგირება (Muraliprasath, 2021) (Hashim, Zulkifli, & Forbes, 2023).

განხილულ ლიტერატურაში ავტორების მხრიდან ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციის მრავალი ლოგიკური მიზეზის დასახელების მიუხედავად, უმთავრესი მიზეზი ჩინეთის საკითხია, რომელიც ინდოეთის ოკეანეში მთავარი კონკურენტია ინდოეთისთვის. ჩინეთი ცდილობს გაიმყაროს პოზიციები რეგიონში და გაზარდოს მისი გავლენები. მურალიფრასათს (2021) მიაჩნია, რომ ჩინეთის აქტიურობამ რეგიონში გამოიწვია ინდოეთის შეშფოთება. ხაზგასასმელია ინდოეთის ოკეანეში ჩინეთის მიერ ახალი პორტების შესყიდვა და მართვა, საზღვაო აბრეშუმის გზის ინიციატივის ფარგლებში. შესაბამისად მურალიფრასათი ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციას მნიშვნელოვანწილად ჩინეთის გააქტიურებას

უქვემდებარებს, მართალია ავტორი ამ გადაწყვეტილებაზე მოქმედ სხვა ლოგიკურ ფაქტორებსაც გამოყოფს, თუმცა უმთავრესად მაინც ჩინეთის გააქტიურება მიაჩნია. ის მიუთითებს, რომ ჩინეთის გავლენის ზრდის ფონზე ინდოეთს სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი, გარდა იმისა, რომ მიეღო გარკვეული უსაფრთხოების ზომები. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთის მოქმედებებს და ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციას შვარუფიც, რომელსაც ჩინეთის ფაქტორი მთავარ მიზეზად მიაჩნია. ავტორი ხაზს უსვამს ჩინეთის მიერ სესხების გაცემის პოლიტიკას და მისი მეშვეობით პორტების მართვის უფლების მოპოვებას, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა მიანმარი, პაკისტანი, შრი-ლანკა, ბანგლადეში და აღნიშნავს, რომ ჩინეთი რეგიონში ინდოეთისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან მისი ჩართულობა ცვლის რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსს. აქედან გამომდინარე ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საკითხში ყველაზე მთავარი ჩინეთის ფაქტორია, რომლის იგნორირებაც ინდოეთს ფიზიკურად არ შეუძლია. ჯოში ყურადღებას ამახვილებს ჩინეთის საზღვაო აბრეშუმის გზის ამბიციაზე, რამაც რეგიონში ნავიგაციის თავისუფლების შესახებ შეშფოთებებს იწვევს. მისი აზრითაც ინდოეთის ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე გააქტიურების მთავარი გამომწვევი მიზეზი ჩინეთისგან მომავალი საფრთხეა და აქედან გამომდინარე ნიკობარისა და ანდამანის კუნძულების მილიტარიზაციის მთავარი მიზანი ჩინეთის კონტრბალანსია.

ინდოეთის ოკეანის რეგიონი სტრატეგიული დაპირისპირების ასპარეზად იქცა. როგორც ვთქვით, აქ იკვეთება როგორც ინდოეთის, ისე ჩინეთის კონკრეტული ინტერესები. აქედან გამომდინარე, იკვეთება ერთგვარი პაექრობის კონტურები რეგიონულ დონეზე. აღნიშნულ თემაზე საუბრისას, ავსტრალიის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მკვლევარი, დეივიდ ბრიუსტერი თავის წიგნში „ინდოეთი და ჩინეთი ზღვაში: დაპირისპირება ინდოეთის ოკეანეში საზღვაო დომინაციისთვის“ (Competition for naval dominance in the Indian Ocean) აღნიშნავს, რომ ჩინეთის მხრიდან კიაუკპიუსა (მიანმარი) და გვადარის (პაკისტანი) პორტების მშენებლობის დაფინანსება მიმართულია მალაკის სრუტის დილემის გადაწყვეტასთან. ეს კი დაკავშირებულია ანდამანის და ნიკობარის კუნძულების საკითხთან. ბრიუსტერი მიუთითებს, რომ კუნძულები ინდოეთისთვის „ჩაუძირავ

ავიამზიდს“ წარმოადგენს. ის დეტალურად განიხილავს კუნძულებზე განხორციელებულ კონკრეტულ სამხედრო-ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს (მაგ.BrahMos რაკეტების განთავსებას) და მათზე დაყრდნობით ავითარებს აზრს, რომ ინდოეთის ქმედებები თავდაცვითი ხასიათისაა. შესაძლოა ითქვას, რომ მოცემული ქეისი მას რეგიონული ასპექტით აქვს გაანალიზებული (Brewster, 2012). მოცემული ასპექტში განხილულია ინდოეთის ოკეანის მკვლევარის, ჰუმა რეჰმანის ნაშრომი: „ინდოეთის მზარდი სტრატეგიული ქმედებები ინდოეთის ოკეანეში: გამპწვევები რეგიონის სტრატეგიული მოცემულობისთვის“ (“India’s Growing Strategic Behaviour in the Indian Ocean: Implications for Regional Strategic Environment”). წარმოადგენს ინდოეთის სტრატეგიული ნაბიჯების დეტალურ ანალიზს ინდოეთის ოკეანის რეგიონში (IOR) და ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ იკავებს საზღვაო ძალა სულ უფრო მეტად მოწინავე ადგილს ინდოეთის გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში. ინდოეთის გეოგრაფიულმა უპირატესობამ, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების გაფართოებამ და ჩინეთის მზარდი ინდოეთის ოკეანური ამბიციების გამო შეშფოთებამ, განაპირობა საზღვაო ძალების მოდერნიზაციის დღის წესრიგში გამოჩენა, მათ შორის ბირთვული იარაღით აღჭურვილი გემების სახით, როგორიცაა INS Arihant (Rehman, 2024).

რეჰმანი (2024) ინდოეთის საზღვაო ექსპანსიას ჩინეთთან და პაკისტანთან სტრატეგიული კონკურენციის კონტექსტში იკვლევს. ინდოეთის მცდელობები, იმოქმედოს როგორც „ქსელის უსაფრთხოების გარანტორმა“, „ბრილიანტების ყელსაბამის“ სტრატეგიით არის გამოხატული, რომელიც ჩინეთის „მარგალიტების სიმის“ საზღვაო პარტნიორობის გაძლიერებით და ისეთი მნიშვნელოვანი შემზღუდავი წერტილების დაცვით ეწინააღმდეგება, როგორიცაა მალაკისა სრუტე. ინდოეთის ამბიცია სპარსეთის ყურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიამდე ვრცელდება, რაც მის პოლიტიკას რეგიონულ ხასიათს ანიჭებს (Rehman, 2024).

ავტორი შეშფოთებულია რეგიონში პოტენციური ბირთვული დესტაბილიზაციის რისკით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეორე დარტყმის შესაძლებლობები უფრო მეტად

ზღვაზეა დაფუძნებული. ინდოეთის პოლიტიკის ასეთი ცვლილება შეშფოთებას იწვევს კრიზისის და არასწორი გათვლების საკითხებში, განსაკუთრებით ინდოეთსა და პაკისტანს შორის. ინდოეთის სტრატეგიული კავშირების გაღრმავება აშშ-სთან, მათ შორის წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხებში თანამშრომლობა, ავტორის აზრით ზრდის დაძაბულობის რისკს (Rehman, 2024).

მეორე მხრივ, დასგუპტა (2024) კუნძულებზე განთავსებულ სამხედრო ძალებს ინდოეთის თავდასხმითი პოლიტიკის „პირველ ხაზად“ განიხილავს. არსებული მონაცემები კი ცხადყოფს, რომ ჩინეთის სამხედრო შესაძლებლობები რეგიონში ინდოეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს გაცილებით აღემატება. აქედან გამომდინარე, კუნძულების მილიტარიზაციის თავდასხმით კონტექსტში განხილვა ეწინააღმდეგება როგორც რეგიონული წესრიგის მოცემულობას, ისე ორმხრივი ურთიერთობის დინამიკას. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროცესი წარმოადგენს რეაგირებას ჩინეთის გავლენის ზრდაზე და ნაკლებსავარაუდოა, რომ ჩინეთის დომინაციის პირობებში ჰეგემონიის მოპოვების მცდელობად ჩაითვალოს. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოთა ქმედებები ორმხრივი საფრთხეებითაა გამოწვეული, რაც უკავშირდება თავდაცვითი რეალიზმის პოსტულატებს (Dasgupta, 2024). მოცემულ თემაზე სინგაპურელი საგარეო პოლიტიკის მკვლევარი და სამხრეთ აზიური კვლევების ინსტიტუტის (სინგაპურის უნივერსიტეტი) დირექტორი რაჯა მოჰანი თავის წიგნში „ჩინურ-ინდური პაექრობა ინდო-წყნარ ოკეანეში“ (Sino-Indian rivalry in the Indo-Pacific) ჩინეთის „მარგალიტთა სიმის“ სტრატეგიას ინდოეთისთვის წინაღობად განიხილავს. ის მილიტარიზაციას შეკავების ფაქტორად მიიჩნევს, რომელიც ბრიუსტერის მსგავსად, ჩინეთის გავლენის ზრდის საპასუხო ნაბიჯადაა განხილული (Mohan, 2012).

ბუნებრივია, თემის განხილვისას საყურადღებოა, თუ კონკრეტულად რა სახის შეიარაღებასა და ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზეა საუბარი. სამხრეთ აზიის პოლიტიკის მკვლევრები, ნირაჯ სინგჰ მანჰასი და აკრიტი შარმა თავიანთ სტატიაში „ანდამანისა და ნიკობარის არქიპელაგის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა“ (Geostrategic

Significance of the Andaman and Nicobar Archipelago) განიხილავენ კუნძულებზე განთავსებულ ინდოეთის არმიის შვიდ სამხედრო ბაზას (კოჰასა, ბააზი და ა.შ). ამ მხრივ, ავტორთათვის არსებითია 2001 წელს დაარსებული სამმხრივი (სახმელეთო, საავიაციო და საზღვაო ძალების) სამხედრო სარდლობის როლი. 2014 წლის შემდგომ კონტექსტში, გამოსარჩევია 2019 წელს განხორციელებილი 50 მილიარდი ინდური რუპიის ინვესტიცია კუნძულების ინფრასტრუქტურული სისტემის გასაუმჯობესებლად. მოცემული გეგმით განსაზღვრულია კოჰასასა და ბააზის ბაზების გაფართოება. მაგალითად, 2024 წელს კ. ანდამანის კოჰასის ბაზის აეროდრომი 3200 მეტრამდე დაგრძელდა, რაც ინდოეთს საშუალებას მისცემს განათავსოს P-8l და Sukhoi-30 MKI ტიპის თვითმფრინავები. ამას გარდა, ჯარავასა და კარდიპის ბაზებზე განხორციელდა ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, გაფართოვდა სარადარო სისტემა. ეს და სხვა დეტალები ზრდის კუნძულების გარშემო არსებული არეალის დაზვერვის და წყალქვეშა გემების დაფიქსირების საშუალებას (Manhas & Sharma, 2024).

უშუალოდ დამოუკიდებელ ცვალდს რომ შევეხოთ, ჩინეთის გავლენის ზრდა რეგიონში გულისხმობს ჩინეთის პოზიციების განვრცობას ინდოეთის ოკეანის სანაპირო ქვეყნებში. ისლამაბადის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სამირა იმრანი და ამავე უნივერსიტეტის მკვლევარი მარიამ რაზა სტატიაში „ანდამანისა და ნიკობარის სტრატეგიული მნიშვნელობა: გამოწვევები პაკისტანისთვის“ (Strategic Importance of Andaman and Nicobar Islands: Implications for Pakistan) მიუთითებენ, რომ ჩინეთის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ენერგომატარებლების იმპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჯამში, სწორედ აქედან შემოდის ჩინეთის მიერ იმპორტირებული ნავთობის 60%. აღნიშნული საზღვაო მარშრუტები გადის ანდამანის ზღვასა და მალაკის სრუტეზე. შესაბამისად, ჩინეთი ცდილობს ამ საკითხის გადაწყვეტას ე.წ „მარგალიტთა სიმის“ სტრატეგიით, რომელიც „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის გაგრძელებას წარმოადგენს. მართალია, ეს სავაჭრო-ეკონომიკური პროექტია, თუმცა მას აუცილებლად დაემატება უსაფრთხოების კომპონენტი

და განაპირობებს ჩინეთის აქტიურ ინტეგრაციას რეგიონულ წესრიგში. ჩინეთი ეტაპობრივად ავითარებს ინფრასტრქუტურას რეგიონის ქვეყნებში (პაკისტანი, მიანმარი, შრი ლანკა, ბანგლადეში, ტაილანდი, კამბოჯა). მართალია, ზემოხსენებულ სახელმწიფოებში ჩინეთის დაფინანსებით ჩამოყალიბებული პორტები კომერციული გამოყენებისაა, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში მათი ფუნქციური ტრანსფორმაცია შესაძლებელია (Imran & Raza, 2018).

კაული (2015) აღნიშნავს, რომ გარდა ეკონომიკური ინტერესებისა, ჩინეთისთვის რეგიონი სამხედრო კუთხითაც აქტუალურია. 2015 წლის ჩინეთის თავდაცვის თეთრ წიგნში გაცხადებულ იქნა, რომ ჩინეთისთვის პრიორიტეტულია არა მხოლოდ სანაპირო წყლების დაცვა, არამედ ღია წყლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საამისოდ, ჩინეთი აფართოებს თავის გავლენებს როგორც ხელოვნური კუნძულების, ისე პორტებისა თუ ლოჯისტიკური ცენტრების დახმარებით.

ამას გარდა, საუბარია ნიკობარისა და ანდამანის კუნძულების მნიშვნელობაზე, რეგიონის მეთვალყურეობასა და კლიმატური კატასტროფების დროს სამაშველო მისიების განსახორციელებლად. ბენგალის ყურე გამორჩეული გეოგრაფიული ლოკაციაა კლიმატური კატასტროფების სიხშირით, რაც მყისიერ რეაგირებას საჭიროებს ზარალის მინიმალურად შესამცირებლად. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების სტრატეგიული მდებარეობა და მათზე არსებული აეროდრომები საშუალებას იძლება დამხმარე ძალის საჰაერო გზებით სწრაფად გადასხმა მოხდეს სანაპირო არეალში. ჯოშის (2024) მიაჩნია, რომ ამგვარი დახმარება შესაძლებელია მეზობელი ქვეყნებისთვისაც. შესაბამისად, ინდოეთს შეუძლია რეგიონის ქვეყნებთან პოლიტიკური ნდობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდა, რაც რეგიონში მის გავლენებს გააძლიერებს. მურალიფრასათი ხაზს უსვამს ნიკობარისა და ანდამანის კუნძულების პოტენციალს სამეთვალყურეო მისიების გაშვებისთვის და რეგიონში ძალის წარმოჩენისთვის. შვარუფის აზრით იქიდან გამომდინარე, რომ კუნძულები ოკეანის ყველაზე დატვირთულ გზაზე მდებარეობენ, რომელსაც იყენებენ ისეთი ქვეყნები როგორიცაა: ჩინეთი, აშშ, იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვები, მეთვალყურეობის განხორციელება დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული.

2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესები ინდოეთის ოკეანეში და ე.წ „მარგალიტთა სიმის“ სტრატეგია

2.1 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკა ინდოეთის ოკეანის მიმართ - ისტორიული მიმოხილვა

ინდოეთის ოკეანე, რომელიც სპარსეთის ყურიდან ავსტრალიის დასავლეთ სანაპირომდე არის გადაჭიმული, მის ფარგლებში მოქცეულ ზღვებსა და აუზში განთავსებულ ქვეყნებთან ერთად, ინდოეთის ოკეანის რეგიონად მოიაზრება. მისი სტრატეგიული მნიშვნელობის ხაზგასასმელად, ალფრედ მეჰანი მიიჩნევდა, რომ ინდოეთის ოკეანის კონტროლი აზიაზე დომინირებას გულისხმობდა. სწორედ აქ გადის ძირითადი საერთაშორისო სავაჭრო და ენერგეტიკული მარშრუტები. მაგალითისთვის, ყოველდღიურად, ოკეანის ფარგლებში 17 მილიონი ბარელი ნავთობის ტრანზიტი ხორციელდება. ის აკავშირებს ენერგომატარებლებით მდიდარ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიასთან, რის გამოც მას „ახალი აბრეშუმის გზის“ სახელითაც მოიხსენიებენ.

ჩინეთიცა და ინდოეთიც მნიშვნელოვანწილად არიან დამოკიდებული ინდოეთის ოკეანეზე გამავალ ზემოხსენებულ მარშრუტებზე. ორივე სახელმწიფო ენერგომატარებლების დაახლოებით 80%-ის იმპორტს სწორედ აქედან ახორციელებს. მაშასადამე, მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საკუთარი გავლენის ზრდის გზით. საინტერესოა, რომ ამ მხრივ, ინდოეთისა და ჩინეთის ურთიერთდამოკიდებულება განსხვავდება. ჩინეთის გააქტიურება ინდოეთისთვის გამოწვევას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთს არ აქვს უშუალო გასასვლელი ინდოეთის ოკეანეში, მისი გააქტიურება თავისთავად განაპირობებს ინდოეთის ტრადიციულად წამყვანი ძალის სტატუსის შერყევას. ინდოეთის მიზანია შეინარჩუნოს დომინანტი პოზიცია. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სწორედ ამ კონტექსტში არის აქტუალური ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა მზარდია. მიუხედავად ამისა,

ინდოეთი ოფიციალურად მიიჩნევს ჩინეთს თავის მეტოქედ ვაჭრობის სფეროში. წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ცალმხრივია, ვინაიდან ჩინეთი ინდოეთს, რეგიონულ დონეზე, სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს. რიტორიკის მიუხედავად, ჩინეთის ქმედებები ინდოეთის ოკეანეში ინდოეთს საპირისპირო ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს, რომლის ერთ-ერთ ნაწილს კუნძულების მილიტარიზაცია და სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდა წარმოადგენს (Kaya & Kilic, 2017).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაინტერესება ინდოეთის ოკეანით, მისი საგარეო პოლიტიკის ცვლილებას ასახავს. ამავდროულად, გვერდს ვერ ავუვლით იმ შიდა ფაქტორებს, რომელთა საფუძველზეც ჩინეთმა ინდოეთის ოკეანისადმი პოლიტიკა შეცვალა. უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა მისი ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპი. შიდა მრეწველობის გაფართოებამ ჩინეთს ენერგომატარებლების მოძიების აუცილებლობა გაუჩინა და 1993 წლისთვის, ის ნავთობის იმპორტიორ სახელმწიფოდ აქცია. როგორც აღინიშნა, ენერგორესურსების იმპორტის თვალსაზრისით, მისთვის უმსხვილეს პარტნიორებად იქცნენ სპარსეთის ყურის ქვეყნები. სწორედ აქ იკვეთება მისი სტრატეგიული ამოცანა. კერძოდ, ჩინეთმა უნდა უზრუნველყოს საზღვაო კომუნიკაციების უსაფრთხოება. ამ თვალსაზრისით, ჩინეთისთვის გამორჩეულად საყურადღებოა მალაკის სრუტე. ჩინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ჰუ ძინტაომ, ეს პრობლემა „მალაკის დილემის“ ტერმინით გამოხატა (Mengal & Mirza, 2022). გამოწვევის საფუძველს ქმნის სტრატეგიული მდებარეობის მქონე ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები. ისინი სრუტიდან 1500 კილომეტრით არიან დაშორებული. ამ მოცემულობაში, ჩინეთი ცდილობს ურთიერთობის გაღრმავებას ინდოეთის ოკეანის რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან, რათა მოიპოვოს უპირატესობა ინდოეთის მახლობელ სივრცეში.

ჩინეთის გააქტიურება რეგიონში 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება, როდესაც სახალხო განმათავისუფლებელი არმიის საზღვაო ძალებმა მიიღეს დავალება, წვეოდნენ პაკისტანის, ბანგლადეშისა და შრი-ლანკის პორტებს. საგულისხმოა, რომ ხსენებულ პერიოდამდე საზღვაო ძალების სამოქმედო სივრცე მახლობელ წყლებს არ ცდებოდა.

ჩინეთის 1998 წლის თავდაცვის თეთრ წიგნში აღინიშნა, რომ ჩინეთი არც ერთ უცხო ქვეყანაში არ ათავსებდა ჯარს და არც ქმნიდა სამხედრო ბაზებს. რეგიონული ამბიციების ზრდა, გარკვეულწილად, ჰუ ძინტაოს უკავშირდება. 2004 წელს, მან დაავალა საზღვაო ძალებს, დაეცვათ ჩინეთის მზარდი ეროვნული ინტერესები და „მსოფლიო მშვიდობა“. აღნიშნული გადაწყვეტილებით განისაზღვრა ჩინეთის, როგორც საზღვაო სახელმწიფოს აქტიური ექსპედიციური როლი. მოცემული დინამიკა წლების განმავლობაში შენარჩუნდა. 2006 წლის თავდაცვის თეთრ წიგნში ხაზი გაესვა საერთაშორისო გადაზიდვის მარშრუტებთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების ზრდას, ხოლო 2008 წლის წიგნში - ჩინეთის საზღვაო ძალების შესაძლებლობებზე, განეხორციელებინათ თანამშრომლობა შორეულ წყლებში (White, 2020).

2008 წლის ბოლოდან, მეკობრეთა ქმედებების შესაჩერებლად, ჩინეთის საზღვაო ძალები ადენის ყურეში ჩნდებიან. 2024 წლის მდგომარეობით, ჩინური მხარე წარმოდგენილია როგორც ჩვეულებრივი, ისე რიგ შემთხვევებში ბირთვული წყალქვეშა ნავებით. შესაბამისად, ანტიმეკობრული საბაბით, ჩინეთმა განსაზღვრა სამხედრო წარმომადგენლობა ინდოეთის ოკეანეში. შემდგომმა თავდაცვის თეთრმა წიგნებმა ეტაპობრივად გააფართოვა ჩინეთის საზღვაო ძალების ამბიციების მასშტაბი და სპეციფიკა (Kania & Wood, 2019). მაგალითად, 2015 წლის თავდაცვის თეთრმა წიგნმა ცხადყო ჩინეთის ღიაოკეანური ამბიციები, გამოყო რა რვა „სტრატეგიული ამოცანა“. მათ შორის აღსანიშნავია ის კონკრეტული ამოცანები, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ტერიტორიული მიწის, ჰაერისა და ზღვის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ეფექტურად დაცვას, ჩინეთის უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვა ახალ სივრცეებში, ჩინეთის საზღვარგარეთის ინტერესების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სტრატეგიული შეკავების შენარჩუნებას, ბირთვული კონტრშეტევის განხორციელებას და რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოების თანამშრომლობაში მონაწილეობას (White, 2020).

ნათელია, რომ ინდოეთის ოკეანის საკითხი განსაკუთრებით საყურადღებო გახდა მას შემდეგ, რაც გაცხადდა სარტყლისა და გზის ინიციატივა. სწორედ ამასვე უკავშირდება

ინდოეთის მხრიდან ორმხრივ ურთიერთობაში საფრთხის აღქმა. ჩინეთმა აქტიურად სარტყლისა და გზის ინიციატივის ფარგლებში აქტიურად დაიწყო შემოსვლა იმ რეგიონში, სადაც ტრადიციულ ლიდერად ინდოეთი მიიჩნეოდა. ზემოხსენებულ ინიციატივასთან დაკავშირებით, 2015 წლის მარტში გამოქვეყნებულ „ხედვისა და მოქმედების“ (Vision and Action) დოკუმენტში ხაზი გაესვა პროექტში ჩართულ სახელმწიფოებთან ორმხრივ მოგებაზე გათვლილ ურთიერთობას, სადაც პრიორიტეტული იქნებოდა სატრანსპორტო, საზღვაო, საავიაციო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (Full Text: Vision and actions on jointly building Belt and Road, 2017).

ამ მოკლე ისტორიიდანაც ნათელია, რომ ჩინეთმა, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, გაცილებით მკაფიოდ გამოხატა თავისი სამხედრო აქტივობები ინდოეთის ოკეანეში. საბოლოო ჯამში, შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მიზანი, რომლებიც განაპირობებს ჩინეთის სამხედრო ყოფნას რეგიონში, ესენია: ენერგიის ძირითადი წყაროების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საზღვარგარეთის ინვესტიციებისა და მოქალაქეების დაცვა, ჩინეთის რეპუტაციისა და პოლიტიკური გავლენის გაძლიერება და სტრატეგიული შეკავების შენარჩუნება.

ბოლო წლებში, ჩინეთის საზღვაო ძალებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს ექსპედიციური შესაძლებლობებისა და მხარდამჭერი სისტემების განვითარების თვალსაზრისით. როგორც აღინიშნა, წლების განმავლობაში ჩინეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ არ ისწრაფოდა საზღვარგარეთის ბაზების შექმნისკენ. 2017 წელს ჯიბუტიში საზღვაო ლოგისტიკური ობიექტის შექმნა მოცემული კურსის გადახვევას წარმოადგენს. შესაძლოა ითქვას, რომ სარტყლისა და გზის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ, ჩინეთისთვის არსებითი იყო ინდოეთის ოკეანეში საკუთარი საზღვაო ძალით წარმოდგენა. ამას ემატება ინდოეთის ოკეანეში წყალზედა (Surface) საბრძოლო გემების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. მათ შორისაა მართვადი-სარაკეტო კრეისერები (Type 055), გამანადგურებლები (Type 052C/D) და ფრეგატები (Type 054A). გრძელდება უფრო დიდი ამფიბიური თავდასხმითი გემების (Type 075) ფლოტის მშენებლობა, რომელიც,

სავარაუდოდ, 26-ზე მეტ ვერტმფრენს გადაიტანს. ამ საბრძოლო გემების ინდოეთის ოკეანეში ხანგრძლივი მისიების განხორციელების მხარდასაჭერად, ჩინეთის საზღვაო ძალებმა გაზარდა თავისი წყალქვეშა ნავების, ნავთობმზიდების, სამაშველო და საძიებო გემების რაოდენობა (White, 2020). გარდა საზღვაო ძალების სტრუქტურული ცვლილებისა, ჩინეთის რეგიონული პოლიტიკის ქვაკუთხედად ინდოეთის მეზობელ სახელმწიფოებში პორტების განვითარების ხელშეწყობა იქცა.

2.2 ორმაგი გამოყენების პორტები ინდოეთის ოკეანის რეგიონში - შესაძლებლობა ჩინეთისთვის

მიუხედავად იმისა, რომ პეკინი რეგიონში ახალ მოთამაშედ ითვლება, მისი ინტერესები მზარდია. ამას, ფორმალურად, ისიც ადასტურებს, რომ ჩინეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის საელჩოები ინდოეთის ოკეანის ექვსივე კუნძულოვან სახელმწიფოზეა განთავსებული (შრი-ლანკა, მალდივები, მავრიკი, სეიშელის კუნძულები, მადაგასკარი, კომორის კუნძულები). საგულისხმოა, რომ რეგიონის არცერთ „ტრადიციულ“ აქტორს, უპირველეს ყოვლისა, ინდოეთს, არ აქვს საელჩო ექვსივე მათგანზე. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებულ ქვეყნებთან ჩინეთს ტერიტორიული დავები არ გააჩნია. ურთიერთობის თვალსაზრისით, ეს დიდ უპირატესობას წარმოადგენს და განმასხვავებელი ფაქტორია ყოფილ მეტროპოლიებთან შედარებით. შესაბამისად, პეკინის მიმართ დამოკიდებულება არ არის განმსჭვალული ანტაგონიზმით (Baruah, 2023).

ჩინეთის მთავარი საზრუნავი ინდოეთის ოკეანეში ენერგეტიკული უსაფრთხოებაა. მალაკის სრუტეზე გადაჭარბებული დამოკიდებულების გამო, ჩინეთის მთავრობა მალაკის სრუტესთან დაკავშირებული დილემის წინაშე დგას. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების გამოყენებით, შესაძლებელია, რომ ესკალაციის შემთხვევაში ინდოეთმა დასავლეთიდან გადაუკეტოს ჩინეთს მალაკის სრუტეზე წვდომა. შესაბამისად, ჩინეთის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, გააძლიეროს თავისი საზღვაო პროგრამები, განსაკუთრებით ინდოეთის ოკეანესთან მოსაზღვრე ქვეყნებთან, ვაჭრობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად. ჩინეთი ცდილობს თავიდან

აიცილოს რეგიონის საზღვრებში ნებისმიერი სახის დაძაბულობა ინდოეთთან, ვინაიდან სრულად აცნობიერებს მის სტატუსს და გეოგრაფიულ უპირატესობას.

ზემოხსენებული ამოცანის გადასაჭრელად, ჩინეთი იმყარებს ინდოეთის ოკეანის რეგიონში საკუთარ პოზიციებს, რასაც ექსპერტთა ნაწილი „მარგალიტთა სიმის“ სტრატეგიით მოიხსენიებს. ჩინეთის გადაზიდვის მარშრუტებს, რომლებიც მალაკისა და ჰორმუზის სრუტეებზე გადის და სამხრეთ ჩინეთს ინდოეთის ოკეანესთან აკავშირებს, „მარგალიტების სიმად“ აღწერენ. შესაბამისად, ჩინეთის საზღვაო მიზნები ვლინდება ბანგლადეშში, პაკისტანში, შრი-ლანკაში, სომალისა და მალდივებში. ტერმინი „მარგალიტები“ მიუთითებს რამდენიმე პუნქტზე, რომელთა შორისაა საზღვაო ბაზა გვადარში (პაკისტანი), სამხედრო კომპლექსი კ. ჰაინანზე, კონტეინერების გადამზიდი ობიექტი ჩიტაგონგში (ბანგლადეში), კიაუკპიუს პორტი (მიანმარი) და ჰამბანტოტას პორტი, (შრი-ლანკა). ეს „მარგალიტები“ განლაგებულია კონტინენტური ჩინეთის სანაპიროებზე, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, მალაკის სრუტესა და ბენგალის ყურეში. „მარგალიტების სიმის“ ყოველი „მარგალიტი“ წარმოადგენს ჩინეთის გეოპოლიტიკური გავლენის სფეროს ინდოეთის ოკეანისა და სხვა ძირითადი საზღვაო გზების გასწვრივ (Singh J. , 2021).

ჩინეთმა თავისი დიპლომატიური და პოლიტიკური პოზიციონირება რეგიონში გამოხატა მძლავრი სამხედრო და ეკონომიკურ პარტნიორობის საფუძველზე. ოფიციალურ დონეზე გაცხადებული მიზნები ხშირად ნაკლებადაა თავსებადი პრაქტიკულად განხორციელებულ ქმედებებთან. მაგალითად, 2014 წელს, ჩინეთმა პირველად განათავსა წყალქვეშა ნავები რეგიონში თავისი ანტიმეკობრული მისიის მხარდასაჭერად. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი არ არის ინდოეთის ოკეანის რეგიონის სახელმწიფო, ეს სამხედრო ყოფნა მას აძლევს დამატებით შესაძლებლობებსა და გავლენას კრიზისების დროს. იმავე 2014 წელს ჩინეთმა სწრაფად უპასუხა მალდივების დედაქალაქ მალეში შექმნილ კრიზისს (Chinese Government Provides Emergency Assistance to Maldives, 2014). ანალოგიურად, პეკინმა შესთავაზა ეკიპაჟი და დახმარება MH370-ის, მალაიზიის ავიახაზების რეისის სამაშველო ოპერაციებში, რომელიც 2014 წელს გაუჩინარდა (Missing Malaysia plane: Chinese territory

searched, 2014). ჩინეთის უნარი, წარმოაჩინოს და შეინარჩუნოს საკუთარი ძალები რეგიონში კრიზისის პერიოდებში, არის ქვაკუთხედი იმისა, რომ დამკვიდრდეს პროდუქტიულ და ქმედით მოთამაშედ. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 2014 წელს კოლომბოში (შრი-ლანკა) ჩინური წყალქვეშა ნავების ორმა ვიზიტმა, რასაც 2016 წელს დაემატა ჩინეთის ბირთვული წყალქვეშა ნავის პირველი ოფიციალური შესვლა რეგიონში, კარაჩის პორტში. მდგომარეობის გამწვავება განაპირობა 2017 წელს, ჩინეთ-ინდოეთის საზღვარზე მომხდარმა დოკლამის კონფლიქტმა.

სარტყლისა და გზის ინიციატივა ჩინეთისთვის მრავალმხრივად შედეგიანია. 2014-2016 პირველ რიგში, ამ ფორმატში გაერთიანდა ყველა ის ორმხრივი პროექტი, რომელიც ჩინეთმა რეგიონის სახელმწიფოებთან გააფორმა. მაგალითისთვის, ჩინეთისა და პაკისტანის ეკონომიკური დერეფანი სარტყლისა და გზის ფარგლებში განხორციელებული პირველი შეთანხმებაა. 2017 წლის მაისში ჩატარებული სარტყლისა და გზის ფორუმით, ჩინეთმა გამოხატა თავისი ამბიცია ინიციატივის გაფართოების მიმართ. ჩინეთის აქტიური რეგიონული პოლიტიკის მიმართ, მეტწილად, დადებითად არიან განწყობილი ინდოეთის მეზობელი სახელმწიფოები. ზემოხსენებული ფორუმის ფარგლებში, ჩინეთმა ხელშეკრულებები გააფორმა ინდოეთის ექვს მეზობელ სახელმწიფოსთან (პაკისტანი, შრი ლანკა, ბანგლადეში, ნეპალი, მიანმარი, ავღანეთი), ხოლო პაკისტანისა და შრი ლანკის ხელმძღვანელებმა გამოხატეს მზაობა, რათა მიიღონ ჩინური ინვესტიციები თავიანთ სახელმწიფოებში (Baruah, 2018).

ჩინეთთან გაღრმავებული კავშირები, სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. სავარაუდოა, რომ მათი დაახლოება ოფიციალურ პეკინთან რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. ერთი მხრივ, ჩინეთის გაზრდილი პოზიციები მათთვის ინდოეთის დაბალანსების შესაძლებლობას ქმნის. საამისო წინაპირობას პაკისტანსა და ინდოეთს არსებული სასაზღვრო დავები ქმნის. ამას გარდა, ჩინეთი სახელმწიფოებს სრულმასშტაბიან განვითარებასა და ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. მაგალითისთვის, 2014-2016 წლებში, სარტყლისა და გზის

ინიციატივის ფარგლებში, ჩინეთის ვაჭრობამ ჩართულ ქვეყნებთან 3 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ჩინურმა ინვესტიციებმა 50 მილიარდი დოლარი შეადგინა (Baruah, 2018). ამ ფონზე, აშკარაა, რომ ინდოეთთან შედარებით, ჩინეთი მეტად მიმზიდველ პარტნიორად განიხილება.

ჩინეთს განსაკუთრებით მჭიდრო სამხედრო ურთიერთობა, ინდოეთის ოკეანის რეგიონში, პაკისტანთან აქვს. თავდაცვისა და უსაფრთხოების კავშირები, ძირითადად, მოიცავს ბირთვული ტექნოლოგიის, თანამგზავრებისა და სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარებას. მოცემულ პერიოდში, ჩინეთის სამხედრო ხომალდები ყველაზე ხშირად სწორედ პაკისტანს ეწვივნენ. პაკისტანი 2000-2014 წლებში ჩინური სამხედრო პროდუქციის ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველი იყო. აღსანიშნავია, რომ პაკისტანი დაეუფლა ჩინურ წყალქვეშა ნავებსა და ფრეგატებს (Kaya & Kilic, 2017).

პაკისტანის კონტროლირებადი ტერიტორიის გავლით, ჩინეთი ცდილობს სინძიანის პროვინციის ინდოეთის ოკეანესთან დაკავშირებას. ჩინეთისა და პაკისტანის ეკონომიკური დერეფნის (CPEC) ფარგლებში, ოფიციალურმა პეკინმა, სესხების მეშვეობით, ხელი შეუწყო პაკისტანს, გვადარის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებაში. კერძოდ, ის ჩინეთს 40 წლიანი იჯარით გადაეცა (Butt, Kharl, & Abbas, 2020). ხელშეკრულების საფუძველზე, მიღებული სარგებლის 91%-ს ჩინური მხარე მიიღებს. გვადარის პორტი ხსენებული დერეფნის დაბოლოებაა. მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსის გაფართოების ყველაზე ამბიციური გეგმები ჯერ არ განხორციელებულა, პორტი გამოიყენება პაკისტანის საზღვაო ძალების მიერ და სავარაუდოდ, ის შეიძლება გარდაიქმნას ჩინეთის სრულფასოვან საზღვაო ფორპოსტად. ინდოეთისთვის აღნიშნული პროექტი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ჩინეთისა და პაკისტანის დამაკავშირებელი მარშრუტი (კაშგარიდან გვადარამდე) გადის გილგიტ-ბალტისტანის ადმინისტრაციულ ერთეულზე, რომელიც სადავოა სამივე სახელმწიფოს შორის. პროექტის ფარგლებში, ჩინურმა კომპანიებმა 62 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება მოახდინეს (Hussain, 2017). ჩინეთის აქტიური ჩართვა სადავო ტერიტორიაზე, წინააღმდეგობებს ქმნის ინდოეთისთვის.

ქაშმირის საკითხიდან გამომდინარე, ინდოეთი ეწინააღმდეგება ჩინეთისა და პაკისტანის ეკონომიკური დერეფნის ამოქმედებას. ჩინეთის მხრიდან ინდოეთის ტერიტორიული მთლიანობის მკაფიო დარღვევა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ორმხრივ ურთიერთობებზე. შესაძლოა ითქვას, რომ შექმნილი ვითარება და ჩინური პოზიცია ამყარებს პაკისტანის პრეტენზიას სადავო ტერიტორიაზე, ვინაიდან ჩინური აქტივობები ხორციელდება იმ სივრცეზე, რომელსაც ინდოეთი თავის ტერიტორიად მიიჩნევს. გვადარის პორტის ამოქმედებით, ჩინეთი სარტყლისა და გზის ინიციატივის საზღვაო მდგენელს მნიშვნელოვნად გააფართოებს, რაც ამწვავებს ინდოეთის ოკეანის რეგიონში არსებულ წესრიგს. როგორც აღინიშნა, ჩინეთი აქტიურად თანამშრომლობს ინდოეთის სხვა მეზობლებთანაც, თუმცა პაკისტანის შემთხვევას ინტერესთა აშკარა შეხლა განსაკუთრებულ შინაარსს სძენს. ხაზგასასმელია, რომ გვადართან დაკავშირებული კონფრონტაცია ჩინურ-ინდური ურთიერთობის სრულ მასშტაბზე არ უნდა განზოგადდეს.

ბანგლადეში ჩინეთის სამხედრო აღჭურვილობისა და ჩართულობის მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი მიმღებია. ქვეყანა ჩინეთს თავის ერთადერთ ოფიციალურ თავდაცვის პარტნიორად მიიჩნევს. ორმხრივი თავდაცვითი კავშირები ორ ქვეყანას შორის მჭიდროა. გარდა სამხედრო ელემენტისა, ჩინეთისა და ბანგლადეშის გააქტიურებულ ურთიერთობას ხელს უწყობს ბანგლადეშის ნავთობისა და გაზის საბადოები. ვაჭრობის გასაღრმავებლად ჩინეთმა 9 მილიონი აშშ დოლარი გამოყო ბანგლადეშის ჩიტაგონგის პორტის განსავითარებლად, რაც ინდოეთისთვის საშიშროებას წარმოადგენს (Kaya & Kilic, 2017). მართალია, 2024 წლის მდგომარეობით პორტი სავაჭრო მიზნით გამოიყენება, თუმცა მისი სამხედრო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელია. 2016 წლის ნოემბერში, პორტმა ჩინური წყალქვეშა ნავებიც მიიღო.

ინდოეთის ოკეანის რეგიონში ჩინეთის გააქტიურების შემდეგ, განსაკუთრებით მზარდია მისი ურთიერთობის დინამიკა შრი-ლანკასთან. მსგავსად პაკისტანისა და ბანგლადეშისა, შრი-ლანკაც აქტიურად შეისყიდის ჩინურ სამხედრო ნაწარმს. 2017 წელს, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ჰამბანტოტას პორტის 70%-იანი წილი

ჩინეთის სახელმწიფო კონგლომერატს გადაეცა, 99 წლიანი იჯარის საფუძველზე (Butt, Kharl, & Abbas, 2020). ჩინურ ხომალდებს ენიჭებათ პორტში დგომისა და საწვავის შევსების უფლება. პორტი გამოიყენება როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო მიზნებისთვის. მოცემული გარიგებით ჩინურმა მხარემ მნიშვნელოვანი ბერკეტი მოიპოვა შრი-ლანკაზე, რომელიც კონტინენტური ინდოეთიდან 54 კილომეტრით არის დაშორებული.

სარტყლისა და გზის ინიციატივის ფარგლებში, ჩინეთი გეოგრაფიულად დაუახლოვდა ინდოეთის ოკეანეს. ამ კონტექსტში, საგულისხმოა ჩინეთის პოლიტიკა მიანმარში. ბანგლადეშთან შედარებით, გეოგრაფიულად ვრცელი და მოსაზღვრე მიანმარი ჩინეთს გაცილებით მეტ შესაძლებლობას სთავაზობს. ჩინეთის საზღვაო ძალებისთვის საკვანძო პუნქტს წარმოადგენს ქოქოსის კუნძულები. ეს ტერიტორია ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებიდან 30 კილომეტრით არის დაშორებული. გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩინეთს შეეძლება კუნძულები თავისი საზღვაო ძალების განსათავსებლად გამოიყენოს. 2003 წლიდან, ჩინეთი ცდილობს კუნძულების სამხედრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. სადაზვერვო და სარადარო სისტემების გამართვით, ადგილზე განთავსებული ჩინური სამხედრო ჯგუფები აღიჭურვნენ ინდოეთის საზღვაო ძალების, მათ შორის, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე განთავსებული ბაზების კონტროლის შესაძლებლობით.

ე.წ. ჩინეთისა და მიანმარის ეკონომიკური დერეფნის (CMEC) ფარგლებში, მიანმარმა მიიღო მნიშვნელოვანი ინვესტიციები ნავთობისა და გაზის მილსადენების პროექტებში. მაგალითისთვის, ქ. კიაუკპიუსა (მიანმარი) და ქ. კუნმინის (ჩინეთი) მომავალი ნავთობსადენის მშენებლობა 1.5 მილიარდი აშშ დოლარით დაფინანსდა. აღნიშნული ტრასნპორტი იუნანის პროვინციას ბენგალის ყურესთან დააკავშირებს, კერძოდ, კიაუკპიუს ღრმაწყლოვანი პორტის საშუალებით. ის 7.2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ჩინური ინვესტიციით შენდება, ხოლო მისი აქციების 70% სწორედ ჩინური კომპანიების ხელთაა. მართალია, ამ უკანასკნელის მშენებლობა დასრულებული არ არის, თუმცა მისი ამოქმედება მნიშვნელოვნად გაამყარებს ჩინეთის პოზიციებს ინდოეთის ოკეანეში.

ენერგომატარებლების ტრანსპორტირების თვალსაზრისით, გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩინეთი, გარკვეულწილად, შეამცირებს თავის დამოკიდებულებას მალაკის სრუტეზე (Butt, Kharl, & Abbas, 2020)

ჩინეთის მასშტაბური ეკონომიკური შესაძლებლობები კარდინალურად ცვლის მოცემულობას. ჩინეთისთვის უპირატესია სავაჭრო მარშრუტების დაცვა, რაც თავისთავად ზრდის მის გავლენას რეგიონში და ეწინააღმდეგება ინდოეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. ინდოეთისთვის, ჩინეთის გაზრდილი სავაჭრო და სამარშრუტო ინიციატივები რეგიონული მიზნების განხორციელების საშუალებად იქცა. კერძოდ, ჩინეთი ზეგავლენას ახდენს რეგიონის სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე, რაც ნათლად იკვეთება ზემოხსენებულ შემთხვევებში. ინდური მხარე მოცემულ პროცესს სტრატეგიულ ალყაში მოქცევად განიხილავს. შესაბამისად, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია ამ მხრივ წარმოადგენს საპასუხო ზომას.

3. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია

3.1 კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა და 2014 წლამდე არსებული მდგომარეობა

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები, ინდოეთის ოკეანის რეგიონში, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ხელსაყრელია კუნძულების გეოგრაფიული მდებარეობა. კუნძულებსა და კონტინენტურ ინდოეთს შორის დაშორება 1300 კილომეტრს შეადგენს, რაც ერთდროულად როგორც წინაღობას, ისე უპირატესობას განაპირობებს. კერძოდ, მანძილი რიგ ლოგისტიკურ პრობლემებს ქმნის, თუმცა ხსნის შესაძლებლობათა ფანჯარას. არქიპელაგის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი მიანმარიდან მხოლოდ 22, ხოლო სამხრეთით მდებარე პუნქტი, ინდონეზიიდან 90 საზღვაო მილით არის დაშორებული. კუნძულები ყოფს ანდამანის ზღვას ბენგალის ყურისგან. მათი საშუალებით, ინდოეთს ეძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებთან კავშირის გაღრმავების საშუალება, თავდაცვისა და უსაფრთხოების

მიმართულებით. ამავდროულად, მოცემული არქიპელაგი ჩინეთისთვის, ინდოეთის ოკეანის რეგიონში, გამორჩეულად საკვანძო მნიშვნელობისაა.

ფიზიკური გეოგრაფიის მიღმა, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების გეოგრაფიული განლაგება მას საშუალებას აძლევს, რომ რეგიონში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით ნავიგაციის თავისუფლების შენარჩუნების კუთხით, არსებითი როლი ითამაშოს. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები მდებარეობენ პრეპარისის, დანკანის, მეათე გრადუსისა და მეექვსე გრადუსის სრუტეებზე, რომელთაგან ყველა მნიშვნელოვანი საზღვაო გზაა, როგორც ინდოეთისთვის, ასევე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისთვის განკუთვნილი სხვა გადაზიდვებისთვის. აქედან გამომდინარე, ის ქმნის მთელ რიგ სტრატეგიულ კვანძებს (ე.წ Chokepoints) მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული საზღვაო გზის სიახლოვეს, რომელიც ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების სამხრეთით, სულ რაღაც რვა საზღვაო მილის დაშორებით გადის. კუნძულოვანი ჯაჭვი მდებარეობს თითქმის ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების შეერთების ადგილას და მალაკის სრუტიდან პირველი სახმელეთო კავშირია. შესაბამისად, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები ხშირად მოხსენიებულია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიულად მდებარე კუნძულოვანი ჯაჭვი (Chinoy, 2020).

კუნძულებზე არსებული მდგომარეობის მიმართ ინდოეთის დამოკიდებულების ცვლილება გარდამტეხი მომენტია. საკუთრივ ჩინეთის ინტერესი ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მიმართ ამ სტრატეგიულ გადახრაზეა დაფუძნებული. ე.წ მარგალიტების სიმის სტრატეგიის ფარგლებში, ჩინეთმა დასაყრდენი მოიპოვა კრიტიკულად მნიშვნელოვან პუნქტებში (ჩიტაგონგი, ჰამბანტოტა, გვადარი და კიაუკპიუ), რაც, მისთვის ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით არის არსებითი. ზემოხსენებულ პორტებს აქვს პოტენციალი, კონტინენტური ჩინეთი ინდოეთის ოკეანის რეგიონთან სახმელეთო გზით დააკავშირონ. ეს საშუალებას აძლევს ჩინეთს, გადაჭრას „მალაკის დილემა“, ანუ მისი დამოკიდებულება აქ გამავალ საზღვაო მარშრუტებზე, რომელიც დაუცველია ბლოკირების ან რაიმე კონფლიქტის შემთხვევაში. (Singh J. , 2021).

2001 წელს, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების გაერთიანებული სამხედრო სარდლობა შეიქმნა. მისი არსებობა, საკვლევ პერიოდამდე, სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ამჟამად, სარდლობის ამოცანას წარმოადგენს ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების დაცვა, ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფა და სხვა. მისი მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა გაერთიანებული საზღვაო წვრთნების (მაგ. MILAN) ფონზე (Muraliprasath, 2021).

ადრეულ პერიოდში, ნიუ-დელისთვის პრიორიტეტული იყო ადგილობრივი კულტურისა და ფლორა-ფაუნის დაცვა ექსპლუატაციისგან. კონკრეტული ინიციატივები და პროექტები იბლოკებოდა სახელმწიფო აპარატის მიერ. ბიუროკრატიული გართულებების მიზეზად კი მწვანე პოლიტიკა გვევლინებოდა. მაგალითისთვის, 2002 წელს ტყის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა აიკრძალა. აღნიშნული გადაწყვეტილებები, ცხადია, ამცირებდა კუნძულების მიმართ ისედაც შეზღუდულ ეკონომიკურ დაინტერესებას (Bose & Chaudhury, 2021). ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად, ეკონომიკის პირველად სექტორებში რჩებოდა ჩართული. ვითარების საფუძველზე სამხედრო კომპონენტის პერსპექტივა უსაფუძვლოდ წარმოჩინდებოდა.

გასათვალისწინებელია კონკრეტული გარემოებები, რომლებიც კუნძულებზე სტრატეგიული ინფრასტრუქტურის განვითარებას აფერხებდა. მთავარ განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს ჩინეთის გავლენის ზრდის აღქმა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან ხდება. ანდამანისა და ნიკობარის მილიტარიზაცია ჩინეთის ქმედებებზე რეაგირებას წარმოადგენს, რაც, ლოგიკურია, ათწლეულების წინ ვერ მოხდებოდა. ამას გარდა, აღინიშნა, რომ კუნძულებსა და კონტინენტურ ინდოეთს შორის დაშორება (1300 კილომეტრი) აფერხებდა ლოჯისტიკურ სისტემას, რასაც ემატებოდა ბიუროკრატიული დაბრკოლებები (Dasgupta, 2024).

3.2 ნარენდრა მოდის დოქტრინა და ინდოეთის საზღვაო სტრატეგია

საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ორი ძირითადი მდგენელით განისაზღვრება. პირველ რიგში, არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საზღვაო შეიარაღებული ძალების რაოდენობას, ქმედითუნარიანობასა და ტექნოლოგიურ მდგომარეობას. ამას

გარდა, სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს მიმდებარე საზღვაო სივრცეში განთავსებული თავისი ან სხვა ქვეყნის კუთვნილი ტერიტორიები, რაც მისცემს კონტროლისა და მეთვალყურეობის საშუალებას. ორივე მიმართულებით, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები შესაბამის პირობებს ქმნის. ცხადია, რომ ინდოეთს ინდოეთის ოკეანის მიმართ ყოველთვის გააჩნდა განსაკუთრებული ინტერესი. აღსანიშნავია, რომ ნარენდრა მოდის ხელისუფლებაში მოსვლამდე, ინდოეთი ნაკლებად იყო ორიენტირებული ძალის პროექციისკენ. რეგიონული პოლიტიკის ასპექტში, აქცენტი კეთდებოდა რბილ დიპლომატიასა და რეგიონული თანამშრომლობის დამყარების მცდელობებზე (Singh J. , 2021).

ინდოეთის მიზნები ინდოეთის ოკეანეში, ნაწილობრივ, დაკავშირებულია მის სურვილთან, აღიარებული იყოს წამყვან ძალად. კოლონიური წარსულის გამო, მან შეიმუშავა რწმენა, რომ რეგიონის მიღმა არსებული სახელმწიფოები არ უნდა განსაზღვრავდნენ რეგიონულ წესრიგს. ამ მხრივ, ჩინეთის მზარდი აქტივობა ინდოეთის ოკეანეში, სადაც ჩინური სათევზაო და კვლევითი გემები ხშირად შეინიშნება, მათ შორის ინდოეთის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში (EEZ), ინდოეთს უკიდურესად აშფოთებს. ჩინეთი, შესაძლოა, პირდაპირ არ დაუპირისპირდეს ინდოეთს ინდოეთის ოკეანეში თავისი მზარდი გავლენით, მაგრამ ეს მიუთითებს ჩინეთის საზღვაო დომინირების სურვილზე, გრძელვადიან პერსპექტივაში (Swarna, 2024)

ინდოეთის რეგიონული პოლიტიკა, რომელიც შეერთებული შტატების მონროს დოქტრინასთან გარკვეულ ასოციაციებს აღძრავს, გულისხმობს ექსკლუზიური გავლენის სფეროს შენარჩუნებას ინდოეთის სუბკონტინენტსა და მის გარშემო არსებულ სივრცეში. ინდოეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ჯავაჰარლალ ნერუმ, მონროს დოქტრინა მოიხმო, რათა აესახა ახლად დამოუკიდებელი ინდოეთის გადაწყვეტილება, გაეთავისუფლებინა სუბკონტინენტი ყოველგვარი დარჩენილი კოლონიური გავლენისგან. მიუხედავად იმისა, რომ ინდურმა „მონროს დოქტრინამ“ მრავალი ფორმა მიიღო, ის მკაფიოდ გამოხატავს, რომ მეზობლები ინდოეთზე, როგორც უსაფრთხოების

მიმწოდებელზე, უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებული. ამავდროულად, ინდოეთი იღებდა ვალდებულებას, არ დაეშვა მესამე სახელმწიფოების სამხედრო ყოფნა მათ ტერიტორიაზე (Brewster, 2018). მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული პოლიტიკა, ძირითადად, ეხებოდა ინდოეთის როლს სამხრეთ აზიაში, ის თავისთავად ახდენდა ზეგავლენას რეგიონის მიმართ ინდოეთის სტრატეგიულ აზროვნებაზე.

ანდამანისა და ნიკობარის საკითხი არ წარმოადგენს განყენებულ შემთხვევას. კონტექსტის გასაანალიზებლად, არსებითია ნარენდრა მოდის სტრატეგიული ხედვის განხილვა. ე.წ მოდის დოქტრინა, საზღვაო შესაძლებლობების გაუმჯობესებით, რეგიონის მასშტაბით პოლიტიკური გავლენის ზრდას ისახავს მიზნად. მან ინდოეთის საგარეო პოლიტიკაში დამკვიდრებული ე.წ აღმოსავლეთით გახედვის სტრატეგია ჩაანაცვლა. მოდის დოქტრინა, რომელიც აღმოსავლეთით ქმედების სახელითაც მოიხსენიება, მიზნად ისახავს ინდოეთის სუბკონტინენტისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მჭიდროდ დაკავშირებას, როგორც უშუალოდ ორმხრივ, ისე მრავალმხრივ დონეზე. საამისოდ, ინდოეთისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს განავითაროს მის ხელთ არსებული ტერიტორიის ინფრასტრუქტურა, რათა უზრუნველყოს საფუძველი რეგიონული თანამშრომლობისთვის (Arjun & Vijaya, 2024, pp. 50-53). ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, მოდიმ აქტიური რეგიონული კამპანია წამოიწყო. 2015 წელს ის ეწვია ინდოეთის ოკეანის რეგიონის ქვეყნებს: შრი ლანკას, სეიშელსა და მავრიკს. ვიზიტის ფარგლებში, გაფორმდა სარადარო სისტემის შეთანხმება სეიშელთან, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ინდოეთის სადაზვერვო შესაძლებლობები. მავრიკის შემთხვევაში, ნარენდრა მოდიმ წამოაყენა წინადადება, რომლის საფუძველზეც მავრიკს თავისი ინტერესების დაცვაში დაეხმარება. მოდის მოცემული ინიციატივები ასახავდა მის მისწრაფებას, შეეთავსებინა განსხვავებული როლი რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში (Chatterji, 2015).

2014 წლის შემდგომ, უსაფრთხოების სფეროში, გაღრმავდა თანამშრომლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებთან. ნარენდრა მოდის ე.წ აღმოსავლეთით მოქმედების დოქტრინა, რიტორიკის დონეზე, განმსჭვალულია მშვიდობიანი განვითარების (ჰინდ.

Vikas Vaad) მახასიათებლებით. ექსპანსიონიზმთან (ჰინდ. Vistar Vaad) შედარებით, აქ ყურადღება მეტადაა გამახვილებული ერთობლივ ინიციატივებზე, ვინაიდან ინდოეთი, დამოუკიდებლად, არ ფლობს რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სათანადო რესურსებს. საამისოდ, ნარენდრა მოდიმ ხაზი გაუსვა იაპონიასთან, აშშ-სა და ავსტრალიასთან ურთიერთობების ახალ საფეხურზე აყვანის საჭიროებას, QUAD-ის ფორმატში. განსაკუთრებით შესამჩნევია ინდოეთსა და იაპონიას შორის უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის დინამიკის ზრდა, რაც გამოიხატება შეიარაღების შესყიდვით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ინდოეთისთვის ოთხი ხომალდის მიყიდვა, იაპონიის მხრიდან სხვა სახელმწიფოსთან სამხედრო პროდუქციით ვაჭრობის პირველი შემთხვევაა. მოდის დოტრინა ითვალისწინებს ზემოხსენებული სახელმწიფოების აქტიურ ჩართვას რეგიონულ წესრიგში. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები კი შესაბამის პერსპექტივას ქმნის. 2014 წლის ინდოეთ-ASEAN-ის სამიტზე ნარენდრა მოდიმ ინდოეთი რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველმყოფ სახელმწიფოდ დაასახელა, რის საფუძველსაც საზღვაო შესაძლებლობებისა და რეგიონული გავლენების გაფართოება წარმოადგენს (Cronin & Baruah, 2014).

რაც შეეხება ინდოეთის საზღვაო სტრატეგიას, ნარენდრა მოდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ის ფუნდამენტურად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის სანაპირო ზოლის ჯამური სიგრძე 7517 კილომეტრს შეადგენს, მისი საზღვაო ამბიციები, საკვლევ პერიოდამდე, შედარებით მოკრძალებული იყო. 1990-იანი წლების პირველ წლებამდე, მისი თავდაცვის ბიუჯეტის მხოლოდ 15% იხარჯებოდა საზღვაო ძალებზე. სტრატეგიული თვალსაზრისით, წყალგამყოფია 2009 წლის ინდოეთის საზღვაო ძალების დოქტრინა, რომელიც სამოქმედო სივრცედ სპარსეთის ყურიდან მალაკის სრუტემდე არსებულ წყლებს მოიაზრებს. ინდოეთი დაინტერესებული იყო, რომ დაეცვა სავაჭრო არტერიების უსაფრთხოება, რაც მის რეგიონულ როლს ერთიორად ზრდიდა (Abbas & Khan, 2024).

უშუალოდ ნარენდრა მოდის პერიოდში, აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო განივრცო. როგორც აღინიშნა, მოდიმ გამოხატა ამბიცია, რომ ინდოეთი გამხდარიყო უსაფრთხოების

უზრუნველმყოფი და რეგიონზე გარდამტეხი ზეგავლენის მომხდენი სახელმწიფო. საამისოდ, განისაზღვრა შესაბამისი საზღვაო პოლიტიკის შემუშავება. 2015 წლის ინდოეთის საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგია ხუთ კომპონენტს აერთიანებს, რომელთა შორის არის შეკავება. ამას გარდა, აღნიშნულია ძირითადი ამოცანები, მათ შორის, სტრატეგიული კვანძების მიმართ გაზრდილი ინტერესი, უსაფრთხოების პარტნიორობისა და გაერთიანებული წვრთნების საკითხები (Khurana, 2015).

ზემოხსენებული სტრატეგიით განპირობებული ამოცანების შესასრულებლად, 2015 წლის შემდგომ, ინდური საზღვაო ძალების შესაძლებლობები საგრძნობლად განვითარდა. 2022 წელს, მათ შეემატა ინდური წარმოების პირველი ავიამზიდი - INS Vikrant. მასზე შესაძლებელია MiG-29K-ის ტიპის თვითმფრინავების განთავსება, თუმცა პერსპექტივაში, შესაძლოა, ფრანგული Rafale M-ებით ჩანაცვლება (Abbas & Khan, 2024). რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობით, ინდოეთის ხელისუფლების მხრიდან გამოყოფილი 12 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების პროექტის ფარგლებში, ინდური გამანადგურებლები BrahMos-ის ტიპის ზებგერითი რაკეტებით აღიჭურვებიან (Indian Navy's Under-Construction Four Destroyer Ships to get Lethal Weapons, Sensors After Cabinet Committee's Nod, 2020). სადაზვერვო კუთხით, საგულისხმოა 2021 წლის დეკემბერში, შეერთებული შტატებისგან შეძენილი აღნიშნული დანიშნულების P-8I Poseidon-ის ტიპის ოთხი ხომალდი. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს ინდოეთს, შორ მანძილზე გააკონტროლოს უცხოური წყალქვეშა ნავების მანევრები, რაც გამოწვევას წარმოადგენს სხვა სახელმწიფოებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთისთვის. ინდოეთის სწრაფვას, გახდეს დომინანტი საზღვაო ძალა რეგიონის მასშტაბით, უმთავრესად, განაპირობებს ბირთვული წყალქვეშა ნავების რაოდენობა. 2030 წლისთვის, ინდოეთის საზღვაო ძალებს ოთხი ერთეული ბირთვული წყალქვეშა ნავი დაემატება, რომელთა აღჭურვა შესაძლებელია K-4 და K-15 ტიპის ბალისტიკური რაკეტებით (Abbas, Khan, 2024).

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებს, ინდოეთის საზღვაო სტრატეგიის კონტექსტში, საკვანძო სტრატეგიული მნიშვნელობა აკისრია. ინდოეთის საზღვაო უსაფრთხოების

სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც 2016 წლის იანვარში გამოქვეყნდა, ხაზს უსვამდა კუნძულების როლს, როგორც დასავლეთ წყნარ ოკეანეში ინდოეთის ძალის პროექციის საფუძველს. შეკავების თვალსაზრისით, აღინიშნა ბირთვული წყალქვეშა ნავების განთავსების შესაძლებლობა. ამ თანმიმდევრული პოლიტიკის პარალელურად, ინდოეთი უზრუნველყოფს დამატებითი ელექტრონული სენსორების და სამხედრო ტექნოლოგიის თავმოყრას, რათა შესაძლებელი გახდეს გემების ავტომატური იდენტიფიცირება და შორ მანძილზე სადაზვერვო ოპერაციების განხორციელება (Imran & Raza, 2018).

ნათელია, რომ ინდოეთი საკუთარი საზღვაო სტრატეგიების განსახორციელებლად აუმჯობესებს საზღვაო ძალების კუთვნილ სამხედრო ტექნიკას, რათა გაატაროს აქტიური რეგიონული პოლიტიკა და უზრუნველყოს რეგიონული უსაფრთხოება მზარდი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. ცხადია, რომ არსებული მოცემულობა ამწვავებს რეგიონში ჩინეთისა და ინდოეთის ურთიერთობას.

3.3 ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე სამხედრო-ინფრასტრუქტურული სისტემის განვითარება

საკვლევ პერიოდამდე, კუნძულები ინდოეთის ყველაზე მოწყვლად და იზოლირებულ ტერიტორიას წარმოადგენდა, სამხედრო თვალსაზრისით. მიუხედავად ამ გარემოებისა, გადაწყვეტილების მიმღებთათვის ის ერთგვარ დილემას ქმნიდა. კერძოდ, მილიტარიზაციის საფუძველზე ინდოეთი მკვეთრად გაზრდიდა საკუთარ თავდაცვით შესაძლებლობებს. ამავდროულად, კუნძულების სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად ქცევა გამოიწვევდა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების გადახრას ჩინეთისკენ, ინდოეთის დომინაციის ფონზე.

მილიტარიზაციაზე საუბრისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გასაანალიზებელი შემთხვევა მხოლოდ შეიარაღების განთავსებას არ გულისხმობს. მილიტარიზაციის პროცესში სინერგიაშია მრავალი კომპონენტი. ნარენდრა მოდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საამისო საფუძვლის შექმნა მალევე დაიწყო. 2015 წელს, ინდოეთის მთავრობამ გამოაცხადა 100 მილიონი ინდური რუპიის ღირებულების გეგმა,

რომელიც ითვალისწინებდა კუნძულების ქვეყნის პირველ საზღვაო ჰაბად გარდაქმნას. პროექტი მიზნად ისახავდა საამისო ინფრასტრუქტურული სისტემის განვითარებას (Pant & Bose, 2023).

2017 წელს შეიქმნა კუნძულების განვითარების სააგანტო, რომელსაც ინდოეთის საზღვაო ძალების ყოფილი ხელმძღვანელი, ადმირალი დ.კ ჯოში ჩაუდგა სათავეში. ორი თვის შემდგომ, ის კუნძულების ლეიტენანტ-გუბერნატორად დაინიშნა, რაც ააშკარავებს ცენტრალური ხელისუფლების დაინტერესებას ტერიტორიის მიმართ. ერთ-ერთ პირველ პროექტს წარმოადგენს 2018 წელს, ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის გაყვანა ქ. ჩენაიდან ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების დედაქალაქ პორტ-ბლერამდე.

საკვლევ პერიოდამდე, კუნძულებზე ინდოეთის სამხედრო ობიექტები, ძირითადად, განკუთვნილი იყო პოლიციური ტიპის მისიებისთვის, რაც მოიცავს სანაპირო პატრულირებას და შეზღუდული სამძებრო-სამაშველო ოპერაციების წარმოებას. ბუნებრივია, რომ ისინი შეუსაბამო იყო წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ან სადაზვერვო/სათვალთვალო ოპერაციების განსახორციელებლად. კუნძულებზე არსებული მცირე ასაფრენი ბილიკებითა და შეზღუდული საპორტო ინფრასტრუქტურით, ინდოეთს არ შეეძლო უფრო მსხვილმასშტაბიანი აქტივობების სისრულეში მოყვანა (Mclachlan, 2014).

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მზარდი მნიშვნელობის გამოსახატად, 2018 წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრი მოდი კუნძულებს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში გაიხსნა რამდენიმე განვითარების პროექტი სატრანსპორტო კავშირის, ენერგეტიკისა და ტურიზმის სფეროში, რაც კუნძულების იზოლაციის სიმბოლურ დასრულებას ნიშნავდა. ბუნებისდაცვითი პოლიტიკის შემცირებას, 2019 წელს მოყვა კუნძულების სანაპირო ზონის რეგულირების ახალი დადგენილება. ეს უკანასკნელი იძლეოდა სამუშაოების განხორციელების საშუალებას პორტების მშენებლობისთვის. 2014 წლამდე, მთელი კუნძულოვანი ჯაჭვის მხოლოდ 7 პროცენტი იყო განსაზღვრული სამეწარმეო საქმიანობისთვის, დანარჩენი კი დაცულ ტერიტორიებად იყო გამოყოფილი (Bose & Chaudhury, 2021).

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე, 2025 წლისთვის, ფუნქციონირებს საზღვაო ბაზა INS Baaz კემპბელის ყურეში (დიდი ნიკობარის კუნძული), საზღვაო საჰაერო სადგური INS Kohassa - შიბპურში, ჩრდილოეთ ანდამანის კუნძულზე, საზღვაო ბაზა INS Kardip კუნძულ კამორტაზე, კარ ნიკობარის საჰაერო სადგური, სამხრეთ ანდამანის კუნძულზე კი განლაგებული ორი საზღვაო ბაზა - INS Jarawa და INS Utkrosh. კუნძულების წრფივი განლაგება ასევე იძლევა შესაძლებლობას, განხორციელდეს საზღვაო დომენის ცნობიერების ოპერაცია (Military Domain Awareness, MDA). MDA-ს განხორციელება სარდლობამ თანამგზავრული გამოსახულებების და გემების, ვერტმფრენების, Dornier-ის ტიპის თვითმფრინავებისა და უპილოტო საფრენი აპარატების (UAV) რეგულარული საზღვაო პატრულების დახმარებით მოახდინა. ისინი სადაზვერვო ფუნქციას ასრულებენ და ინფორმაციას აგროვებენ (Basu, Bose, & Chaudhury, 2019).

საზღვაო ძალები ANC-ის ყველაზე დიდი ნაწილია და მას მეთაურობს კომოდორი (ერთ ვარსკვლავიანი ოფიცერი). აღნიშნული შტო მოიცავს სარაკეტო კორვეტებს, ამფიბიურ, საპატრულო და სადესანტო ხომალდებს. 2016 და 2017 წლებში, INS Karmuk და INS Kulish, ორი Kora-ს კლასის კორვეტი, აღმოსავლეთის საზღვაო სარდლობიდან შესაბამისად პორტ ბლერში გადაიყვანეს. INS Saryu და INS Sumedha, ორი Saryu-ის კლასის საპატრულო ხომალდი, პორტ ბლერში 2013 წლიდან არიან განლაგებული. გარდა ამისა, საზღვაო ძალების ფარგლებში, განლაგებულია ოთხი Bangaram-ის კლასის საპატრულო ხომალდი, ორი Car Nicobar-ის კლასის საპატრულო ხომალდი, ერთი Trinkat-ის კლასის საპატრულო ხომალდი, სამი Kumbhir-ის კლასის სატანკო სადესანტო ხომალდი და ერთი Shardul-ის კლასის სატანკო სადესანტო ხომალდი (Andaman islands get first missile Corvette, 2016) (Ministry of Defence, 2017).

ინდოეთის არმიის 108-ე ქვეითი ბრიგადა, რომელიც შედგება სამი ბატალიონისგან, განლაგებულია პორტ ბლერში, სახმელეთო არმიის დაქვემდებარების ქვეშ (Pant & Bose, 2023). სახმელეთო არმიის ბატალიონი ასევე განლაგებულია კემპბელის ყურეში. ინდოეთის საჰაერო ძალების 15 FBSU, რომელიც მოიცავს 153-ე ესკადრილიას და 4 საზღვაო

დანაყოფისგან, განლაგებულია პორტ ბლერში. 37-ე საჰაერო ფრთა (საავიაციო ფორმირება), შედგება 122-ე ე და 151-ე ესკადრილიიდან, განლაგებულია კარ ნიკობარის საჰაერო ბაზაზე. კუნძულთა ჯაჭვში განთავსებული საზღვაო ხომალდების რაოდენობა 2022 წელს 32-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, იაპონური სამხედრო ბუნკერები, რომლებიც აშენდა ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების იაპონური ოკუპაციის დროს მეორე მსოფლიო ომის დროს, აღდგება უსაფრთხოების გასაძლიერებლად (Singh J. , 2021).

რაც შეეხება უშუალოდ კუნძულებზე განთავსებულ ბაზებზე განხორციელებულ ცვლილებებს, უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა აქ არსებული აეროდრომების ინფრასტრუქტურული ცვლილებები, თვითმფრინავების მისაღებად, რაც აუმჯობესებს ინდოეთის საჰაერო მეთვალყურეობისა და საზღვაო პატრულირების შესაძლებლობებს. დეტალურად რომ განვიხილოთ, INS Kohassa (შიბპური, ჩრდილოეთ ანდამანი), გახდა ინდოეთის აეროდრომების მოდერნიზაციის ნათელი მაგალითი. 2014 წლიდან მოყოლებული, მისი ასაფრენი ბილიკის 1,000 მეტრიდან 3,000 მეტრამდე გაფართოვდა. ეს საშუალებას მისცემს უფრო დიდი თვითმფრინავების, მათ შორის, P-8I Poseidon საზღვაო საპატრულო თვითმფრინავების და Su-30 MKI ჩართვას სადაზვერვო ოპერაციებში (Countering the Dragon: India's Strategic Buildup in the Andaman and Nicobar Islands, 2024). ანალოგიურად, 2012 წლიდან მოქმედი INS Baaz-ის ასაფრენი ბილიკი 2021 წელს 1000 მეტრამდე გაფართოვდა (Satellite Imagery Shows India Is Expanding Runway At INS Baaz, Southernmost Air Station Located In Nicobar Close To Malacca Strait , 2021).

აღნიშნულ პერიოდში, ცვლილებები შეეხო საზღვაო ბაზებსაც. 2018 წლიდან, INS Kohassa-ში, INS Baaz-სა და INS Kardip-ში არსებული ნავსადგომები გაფართოვდა უფრო დიდი საზღვაო ხომალდების მისაღებად (Dutta & Manral, 2024). 2024 წელს, ამავე საზღვაო ბაზებზე, სამმხრივი კოორდინაციის გასაუმჯობესებლად, საზღვაო საკომუნიკაციო ცენტრები შეიქმნა. ეს ცენტრები აერთიანებს სატელიტურ და წყალქვეშა საკომუნიკაციო სისტემებს, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა რეალურ დროში გაცვლას საზღვაო მეთვალყურეობისთვის და ერთობლივი ოპერაციებისთვის. ისინი სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანია ჩინური კვლევითი ხომალდების, როგორიცაა, მაგალითად, Xiang Yang Hong 03, გასაკონტროლებლად, რომელიც ბენგალის ყურეში 2024 წელს დაფიქსირდა (Singh, 2024).

არაერთხელ აღინიშნა, რომ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვის შესაძლებლობებითაც არის განპირობებული. შესაბამისად, 2024 წლის თებერვალში, INS Utkrosh-ში დამონტაჟებული ინტეგრირებული წყალქვეშა ნავსადგურის თავდაცვისა და მეთვალყურეობის სისტემა (IUHDSS) ზრდის წყალქვეშა ნავების დაფიქსირების შესაძლებლობას. სისტემა აერთიანებს ელექტროოპტიკურ სენსორებს, რაც აძლიერებს ნავსადგურის უსაფრთხოებას პოტენციური ჩინური წყალქვეშა ნავების გააქტიურების შემთხვევაში. 2022 წელს, გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მიუხედავად, ამოქმედდა მაღალი სიმძლავრის რადარები, რაც ხელს უწყობს საჰაერო თავდაცვისა და საზღვაო მეთვალყურეობის სისტემის ფუნქციონირებას (Dutta & Manral, 2024).

გარდა სამხედრო ბაზებზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული ცვლილებებისა, საგულისხმოა კ. დიდი ნიკობარის განვითარების პროექტი. 2021 წელს დაწყებული ეს 80,000 კრორის (9 მილიარდი აშშ დოლარი) ღირებულების პროექტი მოიცავს საერთაშორისო კონტეინერების გადამტვირთ ტერმინალს (ICTT) გალათეას ყურეში, ახალ საერთაშორისო აეროპორტს, ქალაქს და გაზსა და მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურს (Sirur, 2022). გარემოსდაცვითი პრობლემების მიუხედავად, 2022 წელს პროექტმა მიიღო ნებართვა და მოსალოდნელია, რომ 2030 წლისთვის ამოქმედდება. ის შეესაბამება ინდოეთის საზღვაო ხედვას და ამყარებს ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების როლს რეგიონულ უსაფრთხოების კონტექსტში (Kumari, 2025).

2020 წელს, საბოლოოდ გაიხსნა ჩენაისა და ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების დამაკავშირებელი წყალქვეშა ინტერნეტ კაბელი, რომელიც მაღალსიჩქარიან ინტერნეტ კავშირს უზრუნველყოფს კუნძულთა ჯაჭვის შვიდ კუნძულზე: სვარაჯ დვიპზე, პატარა

ანდამანზე, კარ ნიკობარზე, კამორტაზე, დიდ ნიკობარზე, ლონგ აილენდსა და რანგატზე (Deep, 2023). კუნძულების გეოგრაფიული მდებარეობის სტრატეგიული გამოყენების მიზნით, განვითარება უნდა შეეხოს მისი ადმინისტრაციის ყველა ასპექტს.

საბოლოო ჯამში, მილიტარიზაცია, შესაძლოა შეფასდეს, როგორც მრავალმხრივ დიპლომატიაში დამატებითი უპირატესობის მიღების საშუალება. ის მიმართულია ჩინეთის განვრცობილი გავლენის დასაბალანსებლად და გარკვეულწილად, ad hoc-ს წარმოადგენს. პროცესი ასახავს მოდის დოქტრინის ძირითად მისწრაფებებს და ყალიბდება ინდოეთის ოკეანის რეგიონის წესრიგში ინდოეთის მორიგ ბერკეტად. მისი შედეგიანობა ვლინდება არა მხოლოდ რეგიონულ დონეზე უსაფრთხოების დონის ზრდით, არამედ ორმხრივი ურთიერთობის სხვა განზომილებებში ინდოეთის სამოქმედო სივრცის გაფართოებით.

3.4 რეგიონული კავშირების გაღრმავება ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საშუალებით

სამხედრო კავშირების დამყარება იშვიათად ხდება გამოწვევების გარეშე და მათი საფუძველი, ზოგ შემთხვევაში, ათწლეულებით უკან მიდის. 1980-იან წლებში, მალაიზიამ და ინდონეზიამ, ინდოეთის მცდელობები ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების განვითარების შესახებ განმარტეს, როგორც რეგიონში დომინირებისა და მალაკის აღმოსავლეთით ძალაუფლების ზრდის ნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ გარემოებები შეიცვალა, სავარაუდოა, რომ რეგიონულ ქვეყნებს კვლავ არ აქვთ ერთიანი პოზიცია მილიტარიზაციის მიმართ. ამგვარად, ინდოეთი დაინტერესებულია თავისი აღმოსავლელი სამხედრო ძალების ჩართვით კუნძულების განვითარებაში, რაც ჩინეთის შემაკავებელ ფაქტორად იქცევა (Singh A. , 2020).

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულები, წლების განმავლობაში, ითვლებოდა გადამტვირთი პორტის დასაარსებისთვის ხელსაყრელ ლოკაციად, რადგან ის უპირატესობას იძლევა ღრმა ფსკერით (მინიმუმ 18 მეტრი), რომელსაც შეუძლია კონტეინერების გადამტანი ძირითადი

გემების მიღება, განსხვავებით კონტინენტურ ინდოეთზე არსებული პორტების უმეტესობისგან. თუმცა, გარემოს დაცვის სამინისტროს წინააღმდეგობების გამო, ამ მიმართულებით, მცირე წინსვლაა. მაგალითად, 2013-2014 წლებში, ინდოეთის პორტის ინდუსტრიამ განიცადა დაახლოებით 15 მილიონი ინდური რუპიის დანაკარგი (175 ათასი აშშ დოლარი) რადგან ვაჭრობის ღირებულება გაიზარდა ინდოეთისთვის განკუთვნილი კონტეინერების გადატვირთვის შედეგად, ახლომდებარე უცხოურ პორტებში, როგორიცაა: კოლომბო (შრი-ლანკა), სინგაპური და კლანგი (მალაიზია). 2020 წლის აგვისტოში, ინდოეთის მთავრობამ გამოაცხადა გეგმები დიდი ნიკობარის კუნძულზე გადამტვირთი პორტის განვითარების შესახებ. ვინაიდან უფრო მოკლე მანძილი მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს, დიდი ნიკობარის გადამტვირთი პორტი იქნება პრიორიტეტული არჩევანი ახლომდებარე ქვეყნებისთვის, მათ შორის, ბანგლადეშისთვის, მიანმარისთვის, ტაილანდისა და ინდონეზიისთვის. პორტი განთავსდება მალაკის სრუტესთან, აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვაო მარშრუტის სიახლოვეს (Bose & Chaudhury, 2021).

ინდოეთის მთავრობამ, ასევე, გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულებები კუნძულოვანი ჯაჭვის ურთიერთკავშირისა და მნიშვნელობის გასაძლიერებლად. 2018 წელს, ინდოეთმა და ინდონეზიამ, „ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში ინდოეთისა და ინდონეზიის საზღვაო თანამშრომლობის საერთო ხედვის“ ფარგლებში, შექმნეს სპეციალური სამუშაო ჯგუფი ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებსა და საბანგის პორტს შორის კავშირის გასაღრმავებლად ვაჭრობის, ტურიზმისა და ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობის მიზნით (Behera, 2021).

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, კუნძულებზე სავაჭრო საქონლის დეფიციტი კვლავ შეიმჩნევა. როგორც მოვლენათა განვითარება ცხადყოფს, სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-ინფრასტრუქტურული სისტემის განვითარება ურთიერთდაკავშირებულია. კუნძულების რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბება სწორედ ამ კონტექსტში არის საყურადღებო. ეს უზრუნველყოფს სავაჭრო ურთიერთობების ინტენსივობას და მტკიცე კავშირებს ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას შორის.

თუმცა, საამისოდ, მიმდებარე წყლები დაცული უნდა იყოს. აღნიშნული დეტალი, სამხედრო თანამშრომლობას ინდოეთის პრიორიტეტების მნიშვნელოვან ასპექტად აქცევს ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების კონტექსტში.

ბოლო წლებში, ჩინეთის გავლენის გაფართოებამ, „მალაკის დილემის“ გადასაწყვეტად, ამ წყლებში ნავიგაციის თავისუფლების შესახებ გარკვეული გამოწვევები გააჩინა. შედეგად, რეგიონის ქვეყნებმა უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა გააღრმავეს, რათა უზრუნველყონ თავისუფალი გადაადგილება ინდოეთის ოკეანის რეგიონის წყლებში. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების სტრატეგიული მდებარეობა მათ საკვანძო წერტილად აქცევს. ინდოეთმა სცადა კუნძულების პოტენციალის გამოყენება საკუთარი ინტერესების დასაცავად და რეგიონში „უსაფრთხოების მთავარი მიმწოდებლის“ იმიჯის გასაუმჯობესებლად.

საამისოდ, ინდოეთმა დაიწყო ანდამანისა და ნიკობარის სარდლობის (ANC) შესაძლებლობების გაძლიერება, რომელიც პასუხისმგებელია კუნძულებზე გამავალი საზღვაო მარშრუტების მონიტორინგზე. 2020 წლის მაისში ჩინეთთან ლადახის სასაზღვრო დაპირისპირების შემდეგ, ინდოეთმა ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე დამატებითი ძალები, საბრძოლო გემები, თვითმფრინავები და სარაკეტო ბატარეები განათავსა. გავრცელდა ცნობები საზღვაო საჰაერო სადგურების INS Baaz-ისა და INS Kohassa-ს მიერ დამხმარე ოპერაციების გაფართოების შესახებ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან მდებარეობის სიახლოვის გამოყენებით, ანდამანისა და ნიკობარის სარდლობა ატარებს ერთობლივ საზღვაო წვრთნებს, როგორიცაა სინგაპურისა და ინდოეთის ორმხრივი საზღვაო წვრთნა (SIMBEX) და კოორდინირებული პატრულირებები (CORPAT) მიანმართან, ტაილანდსა და ინდონეზიასთან ერთად. ის ასევე ახორციელებს MILAN-ს, მრავალმხრივ საზღვაო წვრთნას, რეგიონული პარტნიორობის ხელშესაწყობად. 2018 წელს, მოცემული წვრთნაში მონაწილეობა მიიღო ოცმა ქვეყანამ, რამაც ის ანდამანის ზღვაში ყველაზე დიდ საზღვაო წვრთნად აქცია. რაც შეეხება QUAD-ს, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მიმდებარე წყლებში ტარდება MALABAR-ის წვრთნები (Manhas & Sharma,

2024). ნარენდრა მოდის რიტორიკის მიუხედავად, ნაკლებსავარაუდოა, რომ QUAD-ის წევრი ქვეყნები აქტიურად ჩაერთვებიან ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციის საკითხში. ინდოეთი, სამხედრო-ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, უმეტესწილად, დამოკიდებული იქნება თავის შესაძლებლობებზე.

4. ინდოეთისა და ჩინეთის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები და BRICS-ის კონტექსტი

ინდოეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1950 წელს დამყარდა. მას შემდგომ, ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში, არაერთი დაპირისპირებისა თუ თანამშრომლობის ფაზა დადგა. საგულისხმოა, რომ მიუხედავად ჰიმალაის რეგიონში არსებული პრობლემებისა, ქვეყნებს შორის მზარდი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის დინამიკა ნარჩუნდება.

ინდოეთსა და ჩინეთს შორის საზღვარი 3,488 კილომეტრს შეადგენს. ის ე.წ ფაქტობრივი კონტროლის ხაზის (Line of Actual Control, LAC) სახელით არის ცნობილი. საზღვრის საკითხი კოლონიური ეპოქიდან იღებს სათავეს. 1954 წლის პანჩშილის შეთანხმებით, ინდოეთმა აღიარა ჩინეთის სუვერენიტეტი ტიბეტზე, თუმცა საზღვრის დადგენის საკითხი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. აღნიშნული შეუთანხმებლობა 1962 წელს, არუნაჩალ პრადეშისა და ლადახის ტერიტორიაზე ომშიც გადაიზარდა. მცირე სასაზღვრო შეხლების ფონზე, დიპლომატიური ურთიერთობები უკიდურესად შეიზღუდა. 1993 წელს, ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები ფაქტობრივი კონტროლის ხაზის გასწვრივ მშვიდობის შენარჩუნებაზე შეთანხმდნენ. ეს უკანასკნელი ქმედითი დოკლამის 73 დღიან სასაზღვრო ინციდენტამდე (2017წ.) აღმოჩნდა. გაცილებით კრიზისული აღმოჩნდა 3 წლის შემდგომ გალვანის ხეობაში გაჩაღებული დაპირისპირება, რომელსაც მსხვერპლიც მოყვა. საბოლოო ჯამში, სასაზღვრო კონფლიქტი დასტაბილურდა - 2024 წლის ოქტომბერში ინდოეთის საგარეო უწყების განცხადებით, მხარეებმა მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს ლადახის დაპირისპირების აღმოსაფხვრელად. განისაზღვრა კონკრეტულ რეგიონებში საპატრულო რეჟიმისა და მეორე მხრივ, ბუფერული ზონების დაწესება.

შედარებით მოკრძალებული აღმოჩნდა ნარენდრა მოდისა და სი ძინფინის ერთობლივი განცხადება, სადაც აღინიშნა, რომ მხარეებმა მიაღწიეს ხელშესახებ წინსვლას შესაბამისი პრობლემების მოგვარების მხრივ. რასაკვირველია, მიღწეული პროგრესი აღმავალ სავაჭრო ურთიერთობებში ითარგმნება (Rao, 2024). ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სუბრაჰმანიამ ჯაიშანკარის განცხადებით, შეთანხმება ხანგრძლივი პრობლემის 75%-ით აღმოფხვრას გულისხმობს, მიანიშნებს რა, რომ არსებითია დემილიტარიზაციის რეჟიმის მიღწევა (Gupta, 2024).

რაც შეეხება ჩინეთისა და ინდოეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, აქ საგულისხმოა ბანგლადეშის, ჩინეთის, ინდოეთისა და მიანმარის ეკონომიკური დერეფანი (BCIM). პროექტს საფუძველი მეოცე საუკუნის ბოლოს ჩაეყარა. ის მიზნად ისახავს ქ. კუნმინის (ჩინეთი) დაკავშირებას ქ. კოლკატასთან, მანდალაისა (მიანმარი) და დაკას (ბანგლადეში) გავლით. განსაზღვრული იყო საკომუნიკაციო ქსელის გაუმჯობესება მოცემულ მონაკვეთზე, რაც, თავისთავად, გააღრმავებდა ეკონომიკის დარგობრივ ურთიერთკავშირს ქვეყნებს შორის. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირის გასაღრმავებლად, პროექტი უკიდურესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის, ვინაიდან მოიცავს მდგარდი განვითარების უდიდეს პერსპექტივას (Ahmad & Wasi, 2023). მხარეები პროექტის ჩანასახშივე გამოთქვამდნენ სრულ დიპლომატიურ მხარდაჭერას და მზაობას, რათა საერთო ძალისხმევით განეხორციელებინათ პროექტი (Baruah, India's Answer to the Belt and Road: A Road Map, 2018).

დოკლამის სასაზღვრო კონფლიქტამდე, ნიუ-დელი ისწრაფვოდა დერეფნის ამოქმედებისკენ (Joint Statement Between India and China During the Prime Minister's Visit to China, 2015). აღნიშნულმა დაპირისპირებამ, შესაძლოა ითქვას, ინდოეთის დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია და უკიდურესად შეზღუდა დერეფნის ამოქმედების შესაძლებლობა. მართალია, პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონულ ინტეგრაციას, თუმცა ინდური მხარე მას, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სანდოდ ვერ

განიხილავს. მიუხედავად ამისა, სასაზღვრო კონფლიქტის დასტაბილურების ფონზე, პერსპექტივა ჯერ კიდევ არსებობს.

უსაფრთხოების განზომილება ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს რეგიონული პროექტების განხორციელებისას, თუმცა ინდოეთსა და ჩინეთს შორის არსებული ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები 2024 წლის მონაცემებით, ჩინეთი ინდოეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, ქვეყნებს ვაჭრობის მოცულობამ კი 120 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (Zhou, 2025). ბოლო 15 წლის განმავლობაში, ჩინური პროდუქციის წილი ინდოეთის საერთო იმპორტში 21%-დან 30%-მდე გაიზარდა. ამ მხრივ, ძირითად სასაქონლო ერთეულებს წარმოადგენს ტანსაცმელი, ელექტრონაწარმი, მანქანა-დანადგარები, ქიმიკატები და სხვა. საგულისხმოა, რომ მოცემულ სექტორებში, ინდოეთი დიდწილად არის დამოკიდებული ჩინურ პროდუქციაზე, რაც განაპირობებს მაღალ მოთხოვნას ჩინურ საქონელზე. ეს აისახება სავაჭრო ბალანსზე. 2023-2024 ფისკალური წლის განმავლობაში, ინდოეთმა 101 აშშ დოლარის ღირებულების ჩინური პროდუქციის იმპორტი განახორციელა, მაშინ როცა ექსპორტმა 18 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 8%-ით აღემატება. ვაჭრობის სექტორული სახესხვაობები აშკარაა. ინდური ექსპორტი, ძირითადად, პირველად ნედლეულს და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს მოიცავს. ჩინური ინვესტიციების დიდი ნაწილი სწორედ ამ დარგებზე მოდის. ამავდროულად, ჩინური ჰაი-ტექ პროდუქცია ინდურ ბაზარზე წამყვან პოზიციას იკავებს. გამოსარჩევია ელექტროპროდუქტის დარგი, სადაც ჩინეთიდან იმპორტირებული მოწყობილობები საერთო იმპორტის თითქმის 40%-ს შეადგენს (BRICS Summit indicates improvement in India and China ties may not alter trade relations, 2024). მიუხედავად სავაჭრო დეფიციტისა, ინდოეთი დაინტერესებულია, რომ მიაღწიოს 6.5%-იან ეკონომიკურ ზრდას 2025 წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, მისთვის სასარგებლოა ჩინეთთან გაზრდილი ვაჭრობის დონე (Rao, 2024).

ამას გარდა, ინდური და ჩინური კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა ინდუსტრიაში. მიუხედავად ამ დროისთვის არსებული რიგი წინაღობებისა (უმთავრესად, სავიზო შეზღუდვებისა), სავარაუდოა, რომ კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდება.

გასათვალისწინებელია დონალდ ტრამპის სატარიფო პოლიტიკა. ამერიკულ ბაზარზე შექმნილი ბარიერები ჩინურ კომპანიებს ინდურ ბაზარზე გააქტიურების შესაძლებლობას აძლევს. ამ მხრივ, ყველაზე მეტად ელექტრონიკის სექტორის წარმომადგენლები არიან დაინტერესებული, ვინაიდან ინდური მხარე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩინურ ინვესტიციებზე, ნედლეულსა და ადამიანურ კაპიტალზე. მაგალითისთვის, ჩინურმა სახელმწიფო კომპანიამ, SAIC Motor-მა, გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება ინდურ JSW Group-თან ელექტრომანქანების წარმოების სფეროში (Rao, 2024). პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, მეტ-ნაკლებად, მდგრადია. ამას განაპირობებს კერძო კომპანიების წამყვანი როლი, ვინაიდან სახელმწიფო ინვესტიციები, საკანონმდებლო დონეზე, ორივე მხარის მიერ იზღუდება. სავარაუდოა, რომ ჩინური კომპანიების საქმიანობა ინდოეთში გაფართოვდება, რაც განპირობებულია ჩინურ პროდუქციაზე მზარდი დამოკიდებულებით.

ცხადია, რომ სასაზღვრო საკითხის დასტაბილურება და დიალოგის პოზიტიური პერსპექტივა უმთავრეს სტიმულს წარმოადგენს ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებაში. სათქმელია, რომ საამისოდ შესაბამისი ნაბიჯებიც გადაიდგა, მათ შორის, უმაღლეს დონეზე. მაგალითად, 2023 წლის ბოლოს ინდოეთმა გაამარტივა სავიზო შეზღუდვები ჩინეთის მოქალაქეებისთვის. 2024 წლის მაისში, 18 თვიანი ინტერვალის შემდგომ, ჩინეთმა ინდოეთში ახალი ელჩი, ხუ ფეიჰონგი, დანიშნა (After 18 months, China sends Ambassador to India, 2024). ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზებაში დიდ როლს თამაშობს ბრიკს-ი. 2024 წლის 21 ოქტომბერს, ნარენდრა მოდი და სი ძინფინი ერთმანეთს ყაზანში გამართული ბრიკს-ის მეთექვსმეტე სამიტის ფარგლებში შეხვდნენ. ეს ორი სახელმწიფოს ლიდერის პირველი შეხვედრა იყო 2019 წლის შემდეგ. მოლაპარაკების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ სასაზღვრო საკითხების შესახებ რეგულარული შეხვედრების ციკლის აღდგენის თაობაზე. ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ შესაბამის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები იღვწიან მდგრადი თანამშრომლობისკენ, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონული მშვიდობის უზრუნველყოფასა და მრავალპოლარული სამყაროს

ჩამოყალიბებას. ყაზანის სამიტიდან ერთი თვის შემდგომ, განხორციელდა როგორც საგარეო საქმეთა და მოგვიანებით, თავდაცვის მინისტრების შეხვედრაც. დიალოგი პროდუქტიული გამოდგა, რასაც ადასტურებს ორმხრივად შეცვლილი ნარატივი, რომელიც მიმართულია პარტნიორობაზე, მყარ და გამჭვირვალე ურთიერთობაზე. 2025 წლის მაისში პაჰალგამის ტერორისტული აქტის შემდგომ, ჩინეთმა მხარეებს დეესკალაციისკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, სადავო რჩება პაკისტანის შეიარაღებული ძალების მიერ ჩინური სამხედრო ნაწარმის გამოყენება (Levesques & Solanki, 2025).

მართალია, ურთიერთობების საერთო ფონი გაუმჯობესებულია, თუმცა კომპლექსურ საკითხთა საბოლოო გადაჭრა მოკლევადიან პერსპექტივაში ნაკლებსავარაუდოა. პაკისტანსა და ჩინეთს შორის არსებული პარტნიორობა და ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საკითხი მცირე ჩამონათვალია იმ გამოწვევებისა, რომელიც ორ ქვეყანას შორის დღის წესრიგში დგას. ინდოეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობის შინაარსს განსაზღვრავს სასაზღვრო პერიმეტრზე არსებული მდგომარეობა. დასტაბილურებას უნდა მოჰყვეს ორმხრივი ნდობის აღდგენა. ნარენდრა მოდის თქმით: „ორმხრივი ნდობა, ორმხრივი პატივისცემა და ორმხრივი მგრძნობელობა უნდა უძღოდეს წინ ორმხრივ ურთიერთობებს“ (Modi, 2024). ამ მხრივ, ყაზანის სამიტი ათვლის წერტილს წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, შესაძლოა ითქვას, რომ ურთიერთობა ამბივალენტურ ფაზაშია.

5. თეორიული ანალიზი - თავდაცვითი რეალიზმი

ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციის თეორიულ ჭრილში გასაანალიზებლად, მიზანშეწონილია საკვლევი შემთხვევის თავდაცვითი რეალიზმის ძირითად პოსტულატებთან დაკავშირება. ეს უკანასკნელი მოიცავს ანარქიას და თვითდახმარებას - საერთაშორისო სისტემას არ გააჩნია ცენტრალური ხელისუფალი, რის გამოც ქვეყნები უსაფრთხოების მოსაპოვებლად თვითდახმარების რეჟიმზე გადადიან; გადარჩენა - სახელმწიფოთათვის პრიორიტეტულია გადარჩენა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით; დაბალანსება - ქვეყნები ანეიტრალებენ საშიშროებებს შიდა (მაგ. სამხედრო შესაძლებლობების ზრდა) ან საგარეო ბალანსის (მაგ.

ალიანსი) საშუალებით, ჰეგემონიისკენ სწრაფვის ნაცვლად. უსაფრთხოების დილემა - უსაფრთხოების ხარისხის ზრდისკენ მიმართული ქმედებები შესაძლოა სხვების მიერ საფრთხის შემცველად იყოს აღქმული, შედეგად, მიიღება საპირისპირო ზომები და მცირდება ყველას უსაფთხოება. თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოები ავითარებენ თავიან შესაძლებლობებს საერთაშორისო სისტემაში პოზიციების შენარჩუნებისა და დაუცველობის თავიდან ასაცილებლად. საფრთხის შემთხვევაში, ისინი ცდილობენ არა დაპყრობითი ან შეტევითი სტრატეგიის განხორციელებას, არამედ იმ პოლიტიკის გატარებას, რომელიც გაზრდის მათი მედეგობის დონეს (Glaser, 2010).

შესაბამისად, ინდოეთის შეცვლილი დამოკიდებულება ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მიმართ ასახავს ამ ლოგიკას. კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მათი საშუალებით სამხედრო შესაძლებლობების გაფართოებით, ინდოეთი იძენს შემაკავებელ ბერკეტს ჩინეთის აქტიური ქმედებების წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ მილიტარიზაციის პროცესი არ იყო მიმართული ექსპანსიისკენ - ის მიმდინარეობს მეთოდურად, რაც მინიმუმამდე ამცირებს პოტენციური დაპირისპირების რისკს. ეს ადასტურებს მისი, როგორც შეკავების საშუალების ეფექტურობას და ასახავს კავშირს თავდაცვით რეალიზმთან (Snyder J. , 1991). კერძოდ, იმ გაგებით, რომ თავდასხმასთან შედარებით, სწორედ ხსენებული მიდგომაა უპირატესი. კუნძულების გეოგრაფია საშუალებას აძლევს ინდოეთს თვალი ადევნოს რეგიონში მიმდინარე სტრატეგიულ პროცესებს, მისი სამხედრო წარმომადგენლობა კი განსაზღვრულია სწორედ საზღვაო მარშრუტების დასაცავად და მტრული ქმედებების აღსაკვეთად. კუნძულებზე არ განლაგებულა მკვეთრად თავდასხმითი გამოყენების შეიარაღება, რომელიც ფუნდამენტურად შეცვლიდა რეგიონულ წესრიგს.

სარტყლისა და გზის ინიციატივის ფარგლებში გაზრდილი პოზიციების ფონზე, ინდოეთი ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების საშუალებით უზრუნველყოფს სტრატეგიული ინტერესების დაცვას. ინდოეთი აუმჯობესებს სამხედრო ინფრასტრუქტურას იმ დონეზე, რაც უზრუნველყოფს მისი რეგიონული პრესტიჟისა თუ სტატუსის ამაღლებას და დააბალანსებს ჩინურ გავლენებს. ის არ ისწრაფვის რეგიონული ჰეგემონიისკენ, რაც

გაცხადებულია როგორც პრაქტიკულ, ისე რიტორიკულ დონეზე. მიუხედავად ჩინეთის აქტივობების ფორმალურად ეკონომიკური შინაარსისა, ინდოეთისთვის ეს საფრთხისშემცველად განიხილება, რაც ქმნის უსაფრთხოების დილემას. სანაცვლოდ, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე შეცვლილი მდგომარეობა ჩინეთმა, შესაძლოა, აგრესიულ ნაბიჯად აღიქვას, რაც უკავშირდება რობერტ ჯერვისისეულ მცდარი აღქმების საკითხს, რომელიც განაპირობებს საერთაშორისო სისტემის ბუნდოვანებას (Jervis, 1976).

თავდაცვისუნარიანობის ზრდა, მოცემულ შემთხვევაში, უკავშირდება თვითდახმარებასაც. ინდოეთის პოლიტიკა ნათლად ასახავს შიდა ბერკეტებით დაბალანსების უპირატესობას ალიანსების ფორმირებასთან შედარებით. მართალია, ინდოეთი QUAD-ის ფარგლებში თანამშრომლობს წევრ სახელმწიფოებთან, თუმცა ანდამანისა და ნიკობარის შემთხვევაში ის ვერ ახდენს რაიმე ხელშესახებ გავლენას და დამატებითი ფაქტორის სახით გვევლინება. ინდოეთის სამხედრო შესაძლებლობები, ძირითადად, მისსავე რესურსებს ემყარება და ნაკლებადაა დამოკიდებული ალიანსიდან მომავალ დახმარებაზე, ვინაიდან არ დგას მათი მხარდაჭერის არსებითი აუცილებლობა (Waltz, 1979). ამრიგად, ინდოეთის პოლიტიკა შეესაბამება თავდაცვითი რეალიზმის ლოგიკას.

რაც შეეხება ნაშრომის ძირითად მიგნებებს, ლიტერატურის მიმოხილვისა და საკითხის თეორიულ ჭრილში გაანალიზების საფუძველზე, დგინდება ის ძირითადი მიზეზები, რამაც ინდოეთის მხრიდან კუნძულების საკითხის გადახედვა გამოიწვია. კვლევის მიხედვით, ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე სამხედრო-ინფრასტრუქტურული და სხვა სახის ცვლილებები განპირობებულია ჩინეთის აქტიური ჩართვით რეგიონულ წესრიგში, შესაბამისად, დგინდება მიზეზშედეგობრივი კავშირი. შესაძლოა ითქვას, რომ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია წარმოადგენს ნარენდრა მოდის აღმოსავლეთით ქმედების ნაწილს, რომელიც გულისხმობს რეგიონში პროაქტიული პოლიტიკის განხორციელებას ჩინეთის გავლენის დასაბალანსებლად. ინდოეთი თავდაცვისუნარიანობის ზრდის საშუალებით, იმყარებს წამყვანი სახელმწიფოს სტატუსს რეგიონულ დონეზე. ამას გარდა, მილიტარიზაცია, როგორც აქტივი, აუმჯობესებს მის პირობებს ჩინეთთან ორმხრივი დიპლომატიის კონტექსტში, ავრცელებს რა თავის

სამოქმედო სივრცეს. შემთხვევის გაანალიზება, აგრეთვე, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ინდოეთი ნაკლებად არის დამოკიდებული ალიანსებზე (QUAD) და რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკუთარ შესაძლებლობებს ეყრდნობა, რის ქვაკუთხედსაც ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია წარმოადგენს.

6. დასკვნა

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა გამოეკვლია პასუხი შემდეგ საკვლევ კითხვაზე: რა ფაქტორებმა გამოიწვია 2014 წლის შემდეგ ინდოეთის მიერ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაცია ინდოეთის ოკეანეში ჩინეთის გაზრდილი აქტივობის ფონზე. ხსენებულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მიზანშეწონილად ჩაითვალა შემთხვევის შესწავლის დიზაინის გამოყენება. კვლევის ფარგლებში, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა რიგი რელევანტური სტატიები და წიგნები. ზემოთქმულზე დაყრდნობით, ნაშრომში გაცხადებული ჰიპოთეზა: ინდოეთის ოკეანის რეგიონში ჩინეთის მზარდი საზღვაო-სტრატეგიული გავლენა უბიძგებს ინდოეთს, 2014 წლიდან ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მილიტარიზაციისკენ, რაც წარმოადგენს შემკავებელ ქმედებას - გამართლდა.

ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს მიზეზშედეგობრივ კავშირს ჩინეთის გააქტიურებასა და ინდოეთის რეაგირებას შორის. როგორც უსაფრთხოების მთავარი მიმწოდებელი, ინდოეთი ცდილობს იმოქმედოს მისი მეზობლების ჩინეთთან დაახლოების ფონზე, რაც მისი საგარეო პოლიტიკის ცვლილებას ასახავს. ნარენდრა მოდის ხელისუფლება ნაკლებად ეყრდნობა ალიანსებს და ცდილობს საკითხი დამოუკიდებელი შესაძლებლობებით გადაჭრას. ერთი მხრივ, მილიტარიზაციის საშუალებით იზრდება თავდაცვითი შესაძლებლობები რეგიონული მასშტაბით. ამავდროულად, ინდოეთი იძენს დამატებით ბერკეტს ორმხრივ ურთიერთობაში, რაც ანიჭებს მას დამატებით სიმყარეს ჩინეთთან სხვა სადავო საკითხებში მისთვის სასურველი კომპრომისის მიღწევას.

აგრეთვე, საგულისხმოა ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონიმიკური კავშირების მკვეთრად აღმავალი ტემპი და ინდოეთის მზარდი დამოკიდებულება ჩინურ ინვესტიციებსა და პროდუქციაზე. ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების

მილიტარიზაცია, ამ კონტექსტში, უარყოფით ზეგავლენას ახდენს, აყენებს რა დღის წესრიგში მალაკის დილემას და გრძელვადიან პერსპექტივაში, საფუძველს ქმნის ჩინეთის საპასუხო ქმედებისთვის. უსაფრთხოების დილემა შესაძლოა გამწვავდეს იმ შემთხვევაში, თუკი დიპლომატიური უთანხმოების ფონზე ჩინეთი შეეცდება რეგიონული პორტების სამხედრო მიზნით გამოყენებას და ინდოეთის მეზობელ სახელმწიფოებთან სამხედრო კავშირის გამყარებას. თუკი შევეხებით სამომავლოდ საკვლევ პერსპექტივებს, მკვლევარებისთვის საინტერესო უნდა იყოს თუ რა სტრატეგიულ ზომებს მიმართავს ჩინეთი კუნძულების სახეცვლილი მნიშვნელობის ფონზე, განაპირობა თუ არა მილიტარიზაციამ ინდოეთის უსაფრთხოების ხარისხის სრულფასოვანი ზრდა თუ დააყენა ახალი, კომპლექსური გამოწვევების წინაშე. აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყანა ისწრაფვის მრავალპოლარული სამყაროს ჩამოყალიბებისკენ, მაშასადამე, საყურადღებოა, შენარჩუნდება თუ არა დასტაბილურების ტენდენცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abbas, H., & Khan, Z. (2024). *Indian Maritime Security Strategy for Indian Ocean Region: Implications for China and Pakistan*. The Beacon Journal. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/384367579_Indian_maritime_Security_Strategy_for_Indian_Ocean_Region_Implications_for_China_and_Pakistan
2. After 18 months, China sends Ambassador to India. (2024). The Hindu. Retrieved from: https://www.thehindu.com/news/national/after-18-months-china-sends-ambassador-to-india/article68161274.ece

3. Ahmad, S., & Wasi, A. (2023). *Bangladesh-China-India-Myanmar Economic Corridor (BCIM-EC), Options for Participating Countries*. NUML-Journal of Research in Social Sciences (JRSS). Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/372640924_Bangladesh-China-India-Myanmar_Economic_Corridor_BCIM-EC_Options_for_Participating_Countries
4. Andaman islands get first missile Corvette. (2016). India Today. Retrieved from: https://www.indiatoday.in/pti-feed/story/andaman-islands-get-first-missile-corvette-585472-2016-04-05
5. Arjun, M., & Vijaya, P. (2024). *The Evolution of Indian Maritime Diplomacy: From a Zone of Peace to Growing Strategic Friendships*. In A. B. Chauhan (Ed.), *Maritime Perspectives 2024 Volume V: Maritime India: Temporal and Spatial Continuum*. NATIONAL MARITIME FOUNDATION. Retrieved from: https://maritimeindia.org/wp-content/uploads/2024/11/MP2024-Anuttama.pdf
6. Baruah, D. (2017). *Andaman and Nicobar as India's Smart Islands*. Carnegie Endowment for International Peace. Retrieved from: https://carnegieendowment.org/posts/2017/10/andaman-and-nicobar-as-indias-smart-islands?lang=en
7. Baruah, D. (2018). *India's Answer to the Belt and Road: A Road Map*. Carnegie Endowment for International Peace. Retrieved from: https://carnegieendowment.org/research/2018/08/indias-answer-to-the-belt-and-road-a-road-map-for-south-asia?lang=en
8. Baruah, D. (2023). *Surrounding the Ocean: PRC influence*. Carnegie Endowment for International Peace. Retrieved from: https://carnegieendowment.org/posts/2023/04/surrounding-the-ocean-prc-influence-in-the-indian-ocean?lang=en

9. Basu, P., Bose, S., & Chaudhury, A. (2019). *Exploring India's Maritime Connectivity in the Extended Bay of Bengal*. Observer Research Foundation. Retrieved from: https://www.orfonline.org/public/uploads/posts/pdf/20230418115708.pdf
10. Behera, K. (2021). *Maritime Cooperation between India and Indonesia in 21st Century: Beyond*. South Asian History, Culture and Archaeology. Retrieved from: https://www.esijournals.com/image/catalog/Delete%20journals%20papers/SAHCA/5-Kamalkant%20Behera.pdf
11. Bose, S. (2019). *The Andaman Sea: India's Geostrategic Gateway in the Indo-Pacific*. *South Asian Voices*. Retrieved from: https://southasianvoices.org/andaman-sea-indias-indo-pacific-gateway/
12. Bose, S., & Chaudhury, A. (2021). *The Andaman and Nicobar Islands: Indian Territory, Regional Potential*. Observer Research Foundation. Retrieved from: https://www.orfonline.org/research/the-andaman-and-nicobar-islands-indian-territory-regional-potential
13. Bratton, P. (2012). *The Creation of Indian Integrated Commands: Organisational Learning and the Andaman and Nicobar Command*. Routledge. Retrieved from: https://doi.org/10.1080/09700161.2012.670540
14. Brewster, D. (2012). *Competition for Naval Dominance in the Indian Ocean*. Oxford University Press.
15. Brewster, D. (2018). *Between Giants: The Sino-Indian Cold War in the Indian Ocean*. The Institut français des relations internationales. Retrieved from: https://www.ifri.org/sites/default/files/migrated_files/documents/atoms/files/brewster_sino_indian_cold_war_2018.pdf
16. BRICS Summit indicates improvement in India and China ties may not alter trade relations. (2024). India Shipping News. Retrieved from: https://indiashippingnews.com/brics-summit-indicates-improvement-in-india-and-china-ties-may-not-alter-trade-relations/

17. Butt, K., Kharl, S., & Abbas, K. (2020). *String of Pearls: Politics of Ports in Indian Ocean*. A Research Journal of South Asian Studies. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/344608504_String_of_Pearls_Politics_of_Ports_in_Indian_Ocean
18. Chatterji, S. (2015). *Narendra Modi's Active Indian Ocean Diplomacy*. The Diplomat. Retrieved from: https://thediplomat.com/2015/03/narendra-modis-active-indian-ocean-diplomacy/
19. Chinese Government Provides Emergency Assistance to Maldives. (2014). ReliefWeb. Retrieved from: https://reliefweb.int/report/maldives/chinese-government-provides-emergency-assistance-maldives
20. Chinoy, S. (2020). *Time to Leverage the Strategic Potential of Andaman and Nicobar Islands*. MP-IDSA. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/363652556_Time_to_Leverage_the_Strategic_Potential_of_Andaman_Nicobar_Islands
21. Countering the Dragon: India's Strategic Buildup in the Andaman and Nicobar Islands. (2024). Daily Telegrams. Retrieved from: https://dt.andaman.gov.in/epaper/22720249566768.pdf
22. Cronin, P., & Baruah, D. (2014). *The Modi Doctrine for the Indo-Pacific Maritime Region*. The Diplomat. Retrieved from: https://thediplomat.com/2014/12/the-modi-doctrine-for-the-indo-pacific-maritime-region/
23. Dasgupta, B. (2024). *An Expert Explains: The Strategic Importance of Andaman and Nicobar Islands*. The Indian Express. Retrieved from: https://indianexpress.com/article/explained/anadaman-and-nicobar-island-development-strategic-importance-indian-navy-explained-9272599/
24. Deep, A. (2023). *Three years after the launch of the undersea Internet cable, Andaman & Nicobar Islands Struggle with Choppy Connectivity*. The Hindu. Retrieved from: https://www.thehindu.com/news/national/three-years-after-the-launch-of-the-undersea-

internet-cable-andaman-nicobar-islands-struggle-with-choppy-connectivity/article66687896.ece

25. Deshmukh, S. (2021). *Strategic Importance of Andaman and Nicobar Command—A Revaluation*. Defence Research and Studies. Retrieved from: https://dras.in/strategic-importance-of-andaman-and-nicobar-command-a-revaluation/
26. Dutta, A., & Manral, M. (2024). *Strategic Military Infra Upgrade in the Works for Andaman & Nicobar Islands*. The Indian Express. Retrieved from: https://indianexpress.com/article/india/strategic-military-infra-upgrade-in-the-works-for-andaman-nicobar-islands-9261093/
27. Full Text: Vision and actions on jointly building Belt and Road. (2017, April 10). Retrieved from Belt and Road Forum for International Cooperation: http://2017.beltandroadforum.org/english/n100/2017/0410/c22-45.html
28. Glaser, C. (2010). *Rational Theory of International Politics: The Logic of Competition and Cooperation*. Princeton University Press.
29. Gray, C. (1999). *Modern Strategy*. Oxford University Press.
30. Gupta, R. (2024). *After Modi-Xi Meet in Kazan, Will Rhetoric Be Matched by Action?* The Diplomat. Retrieved from: https://thediplomat.com/2024/10/after-modi-xi-meet-in-kazan-will-the-rhetoric-be-matched-by-action/
31. Hashim, A., Zulkifli, N., & Forbes, V. (2023). *China Reactions towards India's Military Modernization at Andaman and Nicobar Islands*. Muallim Journal of Social Sciences and Humanities. Retrieved from: https://mjsshonline.com/index.php/journal/article/view/496
32. Hussain, S. (2017). *China's CPEC Investment in Pakistan Reaches $62 Billion*. Mint.
33. Imran, S., & Raza, M. (2018). *Strategic Importance of Andaman and Nicobar Islands: Implications for Pakistan*. Global Pakistan Studies Review, 19-27. Retrieved from: https://www.livemint.com/Politics/dB5tQKISoKNrvl7EwDPFbP/Chinas-CPEC-investment-in-Pakistan-reaches-62-billion.html

34. Indian Navy's Under-Construction Four Destroyer Ships to get Lethal Weapons, Sensors After Cabinet Committee's Nod. (2020). Bharat Shakti. Retrieved from: https://bharatshakti.in/indian-navys-under-construction-four-destroyer-ships-to-get-lethal-weapons-sensors-after-cabinet-committees-nod/
35. Islands, G. o. (2025, June 18). *About*. Government of Andaman & Nicobar Islands. Retrieved from: https://andaman.gov.in/about
36. Jervis, R. (1976). *Perception and misperception in international politics*. Princeton University Press.
37. Jervis, R. (1978). *Cooperation under the Security Dilemma*. World Politics.
38. Joint Statement Between India and China During the Prime Minister's Visit to China. (2015). *Press Information Bureau*. Retrieved from: https://pib.gov.in/newsite/PrintRelease.aspx?relid=121755
39. Joshi, K. (2024). *Strategic Significance of Andaman and Nicobar Islands*. NJESR. Retrieved from: https://www.njesr.com/file.axd?file=/Dr.%20K.C.Joshi.pdf
40. Kania, E., & Wood, P. (2019). *Major Themes in China's 2019 National Defense White Paper*. The Jamestown Foundation. Retrieved from: https://jamestown.org/program/major-themes-in-chinas-2019-national-defense-white-paper/
41. Kaul, S. (2015). *Andaman and Nicobar Islands: India's Untapped Strategic Assets*. New Delhi. Retrieved from: https://www.proquest.com/docview/1701139981?sourcetype=Scholarly%20Journals
42. Kaya, T., & Kilic, F. (2017). *Sino-Indian Strategic Rivalry in the Indian Ocean Region*. Journal of Humanity and Society (insan & toplum). Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/321133252_Sino-Indian_Strategic_Rivalry_in_The_Indian_Ocean_Region
43. Khurana, G. (2015). *'Net Security Provider' Defined: An Analysis of India's New Maritime Strategy—2015*. National Maritime Foundation. Retrieved from:

https://maritimeindia.org/net-security-provider-defined-an-analysis-of-indias-new-maritime-strategy-2015/

44. Kumari, K. (2025). *Knowledge Nugget: Why Is Great Nicobar Island Project Important for UPSC Exam?* The Indian Express. Retrieved from: https://indianexpress.com/article/upsc-current-affairs/upsc-essentials/knowledge-nugget-great-nicobar-island-project-gni-andaman-upsc-9885256/
45. Levesques, A., & Solanki, V. (2025). *Prospects for India-China Relations*. The International Institute for Strategic Studies. Retrieved from: https://www.iiss.org/online-analysis/online-analysis/2025/05/prospects-for-indiachina-relations/
46. Manhas, N., & Sharma, A. (2024). *Geostrategic Significance of the Andaman and Nicobar Archipelago*. Defence and Security Alert. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/379698221_Geostrategic_Significance_of_the_Andaman_and_Nicobar_Archipelago
47. Mclachlan, C. (2014). *Andaman and Nicobar Islands as Strategic Deterrent*. The Diplomat. Retrieved from: https://thediplomat.com/2014/05/andaman-and-nicobar-islands-as-strategic-deterrent/
48. Mearsheimer, J. (2001). *The Tragedy of Great Power Politics*. W. W. Norton & Company.
49. Mengal, J., & Mirza, M. (2022). *String of Pearls and Necklace of Diamonds*. Asia Pacific. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/367463371_STRING_OF_PEARLS_AND_NECKLACE_OF_DIAMONDS_SINO-INDIAN_GEO-STRATEGIC_COMPETITION_IN_THE_INDIAN_OCEAN
50. Ministry of Defence, G. o. (2017, December 21). *X.com*. Retrieved from https://x.com/SpokespersonMoD/status/944092274304081920
51. Missing Malaysia Plane: Chinese Territory Searched. (2014). BBC. Retrieved from: https://www.bbc.com/news/world-asia-26609569
52. Mohan, C. R. (2012). *Sino-Indian Rivalry in the Indo-Pacific*. Oxford University Press.

53. Morgenthau, H. (1948). *Politics among Nations: The Struggle for Power and Peace*. Alfred A. Knopf.

54. Muraliprasath, P. (2021). *Role of Andaman and Nicobar Islands in the Indo-Pacific: India's Eastern Anchor*. Electronic Journal of Social and Strategic Studies. Retrieved from: https://www.ejsss.net.in/article_html.php?did=9675&issueno=0

55. Pant, H., & Bose, S. (2023). *Andaman and Nicobar Can Lift India's Maritime Capacity*. Observer Research Foundation. Retrieved from: https://www.orfonline.org/research/andaman-and-nicobar-can-lift-indias-maritime-capacity

56. Posen, B. (1984). *The sources of military doctrine: France, Britain, and Germany between the world wars*. Cornell University Press.

57. Rao, A. (2024). *End of India-China Border Standoff Signals Hope for Cross-Border Business Engagement*. India Briefing. Retrieved from: https://www.india-briefing.com/news/india-china-defrost-ties-at-brics-summit-key-expectations-34920.html/

58. Rehman, H. (2024). *India's Growing Strategic Behaviour in the Indian Ocean: Implications for Regional Strategic Environment*. Margalla Papers. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/383202989_INDIA'S_GROWING_STRATEGIC_BEHAVIOUR_IN_THE_INDIAN_OCEAN_IMPLICATIONS_FOR_REGIONAL_STRATEGIC_ENVIRONMENT

59. *Satellite Imagery Shows India Is Expanding Runway at INS Baaz, Southernmost Air Station Located in Nicobar Close to Malacca Strait.* (2021). Swarajya. Retrieved from: https://swarajyamag.com/news-brief/satellite-imagery-shows-india-is-expanding-runway-at-ins-baaz-southernmost-air-station-located-in-nicobar-close-to-malacca-strait

60. Schelling, T. C. (1966). *Arms and Influence*. Yale University Press.

61. Singh, A. (2020). *Militarising Andamans: The Costs and the Benefits*. Observer Research Foundation. Retrieved from: https://www.orfonline.org/research/militarising-andamans-the-costs-and-the-benefits

62. Singh, J. (2021). *Increasing Strategic Importance of Andaman and Nicobar Islands*. CESCUBE. Retrieved from: https://www.cescube.com/vp-increasing-strategic-importance-of-andaman-and-nicobar-islands
63. Singh, R. (2024). *India Upgrading Strategic Military Infra in Andaman & Nicobar Islands*. Business Standard. Retrieved from: https://www.business-standard.com/india-news/india-upgrading-strategic-military-infra-in-andaman-nicobar-islands-124041000300_1.html
64. Sirur, S. (2022). *Govt Vision for Great Nicobar Includes Airport & Township, Some Experts Think It's 'Nonsense'*. The Print. Retrieved from: https://theprint.in/environment/govt-vision-for-great-nicobar-includes-airport-township-some-experts-think-its-nonsense/814390/
65. Snyder, G. H. (1961). *Deterrence and Defense: Toward a Theory of National Security*. Princeton University Press.
66. Snyder, J. (1991). *Myths of empire: Domestic politics and international ambition*. Cornell University Press.
67. Swarna, S. (2024). *The Indian Ocean Conundrum: A Theatre of Competition*. Bangladesh Institute of Maritime Research and Development (BIMRAD). Retrieved from: https://www.banglajol.info/index.php/BIMRADJ/article/view/79587
68. Swaroop, R. (2021). *Strategic Importance of Andaman and Nicobar Islands: An Indian Perspective*. International Research Journal of Management Sociology & Humanity. Retrieved from: http://www.irjmsh.com/abstractview/14361
69. The Economic Times. (2015). *PM Modi in China: 24 key agreements signed between India-China.* Retrieved from: https://economictimes.indiatimes.com/news/politics-and-nation/pm-modi-in-china-24-key-agreements-signed-between-india-china/articleshow/47298700.cms?from=mdr
70. Walt, S. M. (1987). *The Origins of Alliances*. Cornell University Press.
71. Waltz, K. (1979). *Theory of International Politics*. McGraw-Hill.

72. White, J. (2020). *China's Indian Ocean Ambitions: Investment, Influence, and Military Advantage*. Global China. Retrieved from: https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2020/06/FP_20200615_chinas_indian_ocean_ambitions_white-1.pdf
73. *Xi says China and India should strengthen ties in 'Dragon-Elephant tango'.* (2025). Reuters. Retrieved from: https://www.reuters.com/world/xi-says-china-india-should-strengthen-ties-dragon-elephant-tango-2025-04-01/
74. Yin, R. (2016). *Case Study Research Design and Methods* (5th ed.). Canadian Journal of Program Evaluation.
75. Zhou, Q. (2025). *China-India Economic Ties: Trade, Investment, and Opportunities*. China Briefing. Retrieved from: https://www.china-briefing.com/news/china-india-economic-ties-trade-investment-and-opportunities/
76. აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
77. ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.